საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაგე ესაძაგლესია.

ოთხშაბათი, 27 აპრილი. 2022 წ. №53 (9391) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

არ დავკარგოთ ღირსება, რწმენა და სასოება!

ერთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა

პატრიარქის საალდგომო ეპისტოლე

იხ. 3 გვ.

რაც არ უნდა ბინძური კამპანია ამიგოროთ, მე მაინც ბოლომდე ვილვანებ საქართველოს კეთილდღეობისთვის!

2

დავით ხიდაშელის საგანგებო განცხადება

ქაცა გოგოლაშვილი: თუ ამ ომში რუსეთმა გაიმარჯვა, მაშინ ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, რადგან ეს იქნება მესამე მსოფლიო ომის პროვოცირება!

4

გურამ ქართველიშვილი:

ილიას ანდერძით ძნელია, სიმართლე შეასმინო იმ საზოგადოებას, რომელმაც ილიაც კი ალარ იცის, ვინ არის!

7

უკრაინელებს პოლიტიკური აშლილობა ჭანჯავთ!

4

გერმანიის პრეზიდენტს რომ უარს ეუბნები და რუს ბიზნესმენ ნაყოფიას ილებ უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე, ეს უკვე ბიპოლარული პოლიტიკური აშლილობაა“...

აუდიოჩანაწერი ჩვეულებრივი სიყალბეა!

რა ადასტურებს იმას, რომ ეს ჩანაწერი ავთენტურია? არაფერი. თუკი არის რაღაც საუბრები, ამას ფაქტებიც უნდა მოჰყვეს. არანაირი ფაქტი არ არსებობს. ჭორის გამავრცელებელმა უნდა ამტკიცოს, რომ ჭორი სიმართლეა და არა ჭორის ადრესატმა, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა გავრცელებული აუდიოჩანაწერების საკითხის კომენტირებისას. ლაპარაკია Youtube-ზე გავრცელებულ აუდიოჩანაწერზე, რომლის მიხედვითაც თითქოსდა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი და რუსი მილიარდერი ვლადიმერ ევტუშენკოვი საუბრობენ.

„მიმდინარეობს დეზინფორმაციული კამპანია საქართველოს წინააღმდეგ, იმისთვის რომ მოხდეს არეულობა ქვეყანაში, რათა საქართველო ჩათრეული იყოს ომში. ჩვენ გუშინ, ყველაზე კარგი რაც იყო, ვიზუალურადაც კი ვიხილეთ, როგორ მზადდება დეზინფორმაციული კამპანია. ე.წ. ჩანაწერების ჩვენებით, რომელიც შეუიარაღებელი თვალითაც და ყურითაც ჩანს, რომ არის მონტაჟი, როგორ ხდება ამ თემის აქტუალიზირება პარტიის, შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ტელევიზიების მიერ, როგორ ხდება „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის, „სირცხვილიას“ მიერ ამის ქვეყნის გარეთ გატანა და ა.შ. ვფიქრობ, ეს ჩვენთვის არის სასწავლო მაგალითი, როგორ მზადდება და შემდეგ როგორ ხორციელდება დეზინფორმაციული კამპანია.

ჩვენს ქვეყანაში არის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სპეციალურ პროექტებს ახორციელებს დეზინფორმაციასთან ბრძოლის და დღეს, როდესაც რეგიონში გვაქვს ომი და საქართველოშიც არის რისკები, ეს ორგანიზაციები, სამწუხაროდ, არიან ჩუმად, როდესაც ასეთი სახის დეზინფორმაციული კამპანია წარმოეს სახელმწიფოს წინააღმდეგ. რა ადასტურებს იმას, რომ ეს ჩანაწერი ავთენტურია? არაფერი. თუკი არის რაღაც საუბრები, ამას ფაქტებიც უნდა მოჰყვეს. არანაირი ფაქტი არ არსებობს. ჭორის გამავრცელებელმა უნდა ამტკიცოს, რომ ჭორი სიმართლეა და არა ჭორის ადრესატმა. ეს არის მთლიანად დეზინფორმაციული კამპანიის კონვეიერი საქართველოს სახელმწიფოს და ხალხის წინააღმდეგ, რომლის მიზანია არეულობა ქვეყანაში და ქვეყნის ომში ჩართვა“, — განაცხადა პაპუაშვილმა.

რაც არ უნდა ბინძური კამპანია ამიგოროთ მე მაინც ბოლომდე ვილვაწებ საქართველოს კეთილდღეობისთვის!

დავით ხიდაშელის საგანგებო განცხადება

„ბოლო დღეების განმავლობაში მიმდინარეობს დეზინფორმაციული კამპანია ჩემს წინააღმდეგ, რომლის მიზანია ჩემი სახელის დისკრედიტაცია. ამიტომ მსურს დავასრულო სპეკულაციები და გავაკეთო განმარტება. რაც შეეხება ინფორმაციას რაჭაში სანადირო მეურნეობასთან დაკავშირებით, მოგეხსენებათ, რომ მე ვფლობ რამდენიმე სანადირო მეურნეობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით — აფრიკასა და ევროპაში. დიდი სურვილი მქონდა, რომ საქართველოსაც ჰქონდეს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი სანადირო მეურნეობა. 4 წლის განმავლობაში მივმართავდი საქართველოს მთავრობას ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან საქართველოში არსებობს 20-მდე სანადირო მეურნეობა და არც ერთი არ არის მიმართული მოსახლეობისა და ტურისტების სარგებლობისთვის. გარდა ამისა, საქართველოში ცხოველთა გარკვეული ჯიშები განადგურებულია და მქონდა სურვილი აღმედგინა. შესაბამისი სპეციალისტებისგან მივიღე რეკომენდაცია, რომ რაჭა იყო ის ტერიტორია, სადაც ცხოველთა ჯიშების ბუნებრივი წესით აღდგენა მოხდებოდა.

ასევე, რამდენიმე წელია ვთანამშრომლობ ესპანურ კომპანიასთან, რომელიც ფლობს გარეული ღორების ფერმებს და საქართველოშიც აქვს თავისი წარმომადგენლობა. აქედან გამომდინარე, მაქვს სურვილი განვავითარო სანადირო მეურნეობები არა მხოლოდ რაჭაში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც, რითაც ისარგებლებენ ადგილობრივი მოსახლეობაც და რამდენიმე მილიონი ტურისტი, რომლებიც ყოველწლიურად ჩამოდიან საქართველოში.

თუ ვინმეს სურვილი ექნება საქართველოში სანადირო მეურნეობების განვითარების საქმეში შემომიერთდეს, აიღოს ვალდებულება, რომ მოუვლის ტყეს და აღადგენს ცხოველთა ჯიშებს, სიამოვნებით შევქმნი ამხანაგობას და მივცემ შესაძლებლობას ამ სფეროს განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანონ. გარდა ამ პროექტისა, საქართველოში ვახორციელებ 47 პროექტს, რომელიც მოიცავს ყველა სფეროს და სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად, სათითაოდ ყველა პროექტზე გავავრცელებ განცხადებებს და მოსახლეობას ინფორმაციას მივაწვდი.

რაც შეეხება გუშინ გავრცელებულ, გაურკვეველი წარმომავლობის ორ აუდიოჩანაწერს, სადაც გაჟღერდა სახელი „დავითი“, რის შემდეგაც ბევრმა ჟურნალისტმა მომმართა კომენტარისთვის. მორიგი სპეკულაციები რომ არ მოხდეს, გადავწყვიტე მე თვითონ გავაკეთო განმარტება. ვლადიმერ ევტუშენკოვი 30 წელია არის ჩემი მეგობარი, მისი ოჯახის წევრები მუშაობდნენ ჩემს კომპანიებში შვეიცარიაში. მე საქართველოში წლების განმავლობაში არ ვიმყოფებოდი და არ ვსაქმიანობდი. რამდენიმე წლის წინ მთხოვეს ჩავრთულიყავი ერთ-ერთ ბიზნეს საკითხში, რომელიც ეხებოდა „რუსთავის აზოტის“ ქარხნის კრედიტს, თუმცა აღნიშნულ საკითხში არ ჩავრეულვარ. „რუსთავის აზოტის“ ქარხანას ჰქონდა ევტუშენკოვის კუთვნილი კორპორაცია „სისტემისგან“ 100 მლნ დოლარამდე კრედიტი აღებული, რომლის გასტუმრებაც ვერ ხერხდებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ევტუშენკოვი 3-ჯერ იყო ჩამოსული საქართველოში.

როგორც ვიცი, სასამართლო დავა კვლავ გრძელდება და არ მსურს დეტალებზე საუბარი, ვინაიდან ეს საკითხი მე არ მეხება.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას ალი უზდენოვთან დაკავშირებით და საქართველოში ჩვენს შეხვედრებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ალი უზდენოვი არის ბიზნესმენი და არანაირი კავშირი არ აქვს პოლიტიკასთან. მოგეხსენებათ, საქართველოში ღვინის კონსორციუმის შექმნა დავიწყე და გეგმაში მაქვს ღვინის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა.

გარდა ამისა, ვამუშავებ შესაძლებლობას, რომ რუსეთში ღვინის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით მოხდეს ხორბლის შემოტანა რუსეთიდან, ვინაიდან საქართველოში არის ხორბლის საჭიროება.

ალი უზდენოვთან ერთად სწორედ ამასთან დაკავშირებით გავმართე შეხვედრები საქართველოში ბიზნეს სექტორთან, მეხორბლეებთან. ბიძინა ივანიშვილთან არანაირი შეხვედრა არ გამართულა. რაც შეეხება პრემიერთან შეხვედრას, ასეთი შეხვედრა არ შემდგარა. მე მქონდა კომუნიკაცია პრემიერ-მინისტრთან, ვთხოვე შეხვედრა, თუმცა პრემიერმა გადაგვამისამართა ბიზნეს სექტორთან. აქვე განვმარტავ, რომ ბიზნეს სექტორთან შეხვედრები რაიმე კონკრეტული შეთანხმებით და შედეგით არ დასრულებულა.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ, მე ვარ ბიზნესმენი, საქართველოში ვახორციელებ 47-ზე მეტ პროექტს და კვლავ ვაპირებ გავაგრძელო ჩემი საქმიანობა და დავეხმარო საქართველოს სხვადასხვა დარგის განვითარებას. იმის მიუხედავად, რამდენ ბინძურ დეზინფორმაციას გააავრცელებენ და რამდენ ბინძურ კამპანიას ააგორებენ ჩემ წინააღმდეგ, არ ვაპირებ რაიმე პოლიტიკური შეფასების გაკეთებას, ჩემი საქმიანობა ყოველთვის იყო მიმართული საქართველოს კეთილდღეობისკენ და ქართველი ხალხი ამას ხედავს და ყოველთვის დაინახავს“.

ომი რომ დასრულდება, კიდევ უფრო მეტს გაიგებს ქართველი საზოგადოება არახამიასთან დაკავშირებით!..

„დავით არახამია საქართველოში არის რადიკალურ ოპოზიციაში, უკრაინაში არის ხელისუფლებაში, თან საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე. ასეთ დროს, ბუნებრივია, არის სრული კოორდინაცია კიევს, ამ შემთხვევაში არახამიასა და თბილისს, ამ შემთხვევაში სააკაშვილს შორის,“ — განაცხადა ,,ქართული ოცნების თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრის დროს.

„თუ არ ვცდები, 6 მარტი იყო, როდესაც გავრცელდა ფეიკი რძის პროდუქტებთან დაკავშირებით, თითქოს საქართველო აფართოებდა საკუთარ ექსპორტს, რძის პროდუქტების კუთხით, რუსეთის ფედერაციაში, ეს იყო ჩვეულებრივი ფეიკი. იმავე დღეს, ზუსტად რამდენიმე საათში, სწორედ დავით არახამია გამოეხმაურა ამ ფეიკს. ახლაც გავრცელდა კიდევ ერთი გაუგებარი ჩანაწერი, ავთენტურია, თუ არ არის ავთენტური, არ ვიცით. აქაც, იმავე დღეს, რამდენიმე საათში, ამ ჩანაწერს გამოეხმაურა დავით არახამია. საზოგადოებამ უკვე ყველაფერი იცის არახამიასთან დაკავშირებით, ყველაფერი არა, უფრო სწორად. მე მგონია, ომი, რომ დასრულდება, კიდევ უფრო მეტს გაიგებს ქართველი საზოგადოება არახამიასთან დაკავშირებით. დღეს, არ არის ამის დრო, დღეს უკრაინა ომის მდგომარეობაშია, არახამია იკავებს კვლავაც მაღალ თანამდებობას უკრაინის ხელისუფლებაში. შესაბამისად, დღეს არ არის დრო იმისათვის, რომ ასე ღრმად შევიდეთ, მაგრამ თუ ვინ არის არახამია, რა კავშირი აქვს მას ნაცმოძრაობასთან? ამაზე საზოგადოებამ უნდა მიიღოს სათანადო ინფორმაცია.“ — განაცხადა ირაკლი კობახიძემ

კითხვა, რომელიც პასუხს ითხოვს!

ხე იცნობა ნაყოფით და
ხალხი მისდა, რა ყოფილა
თქვენი მანჭვა-ღრეჭვა;
თავმჯდომარედ ნაყოფია
რომ პუტინის ნაყოფია,
თქვენში ამან არვინ დააეჭვა?

ალექსანდრე შენგელია

ირაკლი კობახიძე: „ნაციონალური მოძრაობა“ არის ომის პარტია

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, პარლამენტში, ჟურნალისტებთან საუბრისას, უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველის განცხადების შესახებ დასმულ კითხვას უპასუხა.

„ოფიციალურმა კიევმა არესტოვიჩის პირით აღიარა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ომის პარტია, რაც საზოგადოებამ უკვე ძალიან კარგად იცის. დღეს „ნაცმოძრაობა“ ომის პარტია იმიტომ არის, რომ ისინი მოღალატეები არიან. ანუ, ომის პარტიასთან ერთად, ისინი არიან ღალატის პარტიაც. შესაბამისად, ყველაფერი აბსოლუტურად ლოგიკურ კავშირშია ერთმანეთთან — „ნაცმოძრაობას“ დღეს ერთადერთი რამ სურს და ამისთვის აწყობენ რევოლუციურ გეგმებსაც და ნებისმიერ სხვა გეგმას, რომელიც არეულობასთანაა დაკავშირებული“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

არახამიამ ქართველი იანუკოვიჩი, კრიმინალი სააკაშვილი, მოიკითხოს საკუთარ ხელისუფლებაში!

„არახამიას პირით გააჟღერეს, რომელმაც გამოიყენა ტერმინი „ქართველი იანუკოვიჩი“. მინდა, მას ვუთხრა, რომ ქართველი იანუკოვიჩი უნდა მოიკითხოს საკუთარ ხელისუფლებაში, რომელიც არის დღემდე ოფიციალური რეფორმების საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოდან კრიმინალისთვის გაგდებული და შემდეგ ციხეში ჩასმული კრიმინალი სააკაშვილი არის მათი რეფორმების საბჭოს ხელმძღვანელი. შესაბამისად, ქართველი იანუკოვიჩი მოიკითხონ თავისთან, უკრაინის ხელისუფლებაში“, — დასძინა ირაკლი კობახიძემ.

სოფლის შენებას რა უნდა!!!

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **ნიკა მელია** არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თავად პარტიას ტოვებს და მის შემცვლელად გიორგი მარგველაშვილი განიხილება.

„გიორგი მარგველაშვილი გახდება „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე და მე გავხდები ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი — ეს კომბინაცია შეიძლება გათამაშდეს. გიორგი მარგველაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ გახდომის შემთხვევაში, მე გავხდები ავტომატურად ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი. ეს კითხვა არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ დაწერილი, გადმოგზავნილი ტელეკომპანია „იმედში“, „რუსთავი 2-ში“, სადაც ბევრი ჩემი მეგობარი დღესაც მუშაობს. ეს კითხვა არ არის არცერთი პროდიუსერის მიერ შემუშავებული, ეს არის სპეცსამსახურების მიერ დაწერილი კითხვა. იცით, რა საერთაშორისო სკანდალშია ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ გახვეული და მოიგონეთ ეს. ვერიდები ჟურნალისტებთან კონფრონტაციას. ნამდვილად გული მწყდება და არ არის სასიამოვნო სანახავი, სუს-ის რომელიღაცა დეპარტამენტის თანამშრომლის კითხვას აჟღერებდეს ჟურნალისტი, განსაკუთრებით, „რუსთავი 2-იდან“, — განაცხადა მელიამ.

შალვა პაპუაშვილი: მიხეილ სააკაშვილის ვითომდა სამკურნალოდ გადაყვანის კამპანია პატიმრის გათავისუფლების მოთხოვნაა, რომ სასჯელი აირიდოს

„ყველა მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სათანადო სამედიცინო მომსახურება და ეს უზრუნველყოფილია ქართულ ციხეებში — ყველა მსჯავრდებულს მისი სტატუსის მიუხედავად, სათანადო სამედიცინო მომსახურება აქვს. მთელი ეს კამპანია — მიხეილ სააკაშვილის ვითომდა სამკურნალოდ გადაყვანის, სინამდვილეში არის კამპანია მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რათა აირიდოს სასჯელი, რომელიც მართლმსაჯულებამ მიუსაჯა იმის გამო, რომ მან დეპუტატი სიკვდილამდე აცემინა და იმისთვის, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელებს ხელი დააფარა (რაც სტრასბურგის სასამართლომაც თქვა)“, — განაცხადა გუშინ შალვა პაპუაშვილმა.

არ დავკარგოთ ღირსება, რწმენა და სასოება!



ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა

პატრიარქის საალდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელოენო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, „გაუწყებთ თქვენ“ საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც მამასთან იყო და ჩვენ გამოგვეცხადა“ (1 ინ. 1,2). აღსრულდა სამოთხეში ადამისა და ევასთვის მიცემული პირობა უფლისა! სიკვდილი იძლია!

ქრისტე აღსდგა!

საკვრელი ბნელეთისა დარღვეულია და მართალთა სულნი – გამოხსნილნი! ზეიმობს წიაღი აბრაამისა; ძეს თვისას, ყოველთა მეუფეს, შეჰხარის წინასწარმეტეყველი დავითი, იშვებს ქალწული და ყოველნი ზეციურნი ძალნი! შემოდის დღე ძლევამოსილი და დიადი, დღე სიკვდილის დამთრგუნველი და ათასწლეულების წყევლის განმაქარვებელი.

ეშმაკი მოტყუვდა, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანის მსგავსად მიიღო თავის წიაღში კაცობრივი სულის მქონე უფალი,- ყოვლად უცოდველი, სრული სიყვარული, სიკეთე, სიბრძნე და ჭეშმარიტება, რომელმაც ჯოჯოხეთში შთასვლით შემუსრა ბოროტების, ღვარძლისა და სიცრუის სამეფო.

ქრისტე აღსდგა!

„სადა არს, სიკვდილო, ნესტარი შენი, სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?!“ (1 კორინ. 35.55)

მკვდრეთით აღმდგარი და გამარჯვებული იესო გვიხმობს და ყველას უშურველად გვანიჭებს უდიდეს საბოძვარს, – საუფლო დიდებასთან თანაზიარებას, გვანიჭებს მარადიულ სიცოცხლეს და მასთან მყოფობას.

ქრისტე მკვდრეთით აღსდგა იმგვარი უხრწნელი სხეულით, ადამს რომ ჰქონდა სამოთხეში და ჩვენც, მეორედ მოსვლის შემდეგ, ამ სულიერი სხეულით შემოსვის შესაძლებლობა მოგვცა.

ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რადგან ხრწნილება, რაც პირველმშობელთა შეცოდების შედეგად ჩვენი დაცემული ბუნების თვისება გახდა, ვერ დაიმკვიდრებდა უკვდავებას.

ქრისტესთან ნათლობით დაკავშირებულნი და მისი მცნებისამებრ მცხოვრებნი ყოველნი, ნეტარ უკვდავებასთან თანაზიარნი ხდებიან მასთან ერთობით, რომელიც თავად არის სიცოცხლე და სიცოცხლის მომნიჭებელი. ამიტომაც წერს მოციქული: „როგორც ადამში კვდება ყველა, ასევე სიცოცხლეს იძენენ ქრისტეში“ (1 კორინ. 15,22); „ღმერთმა მოგვცა საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია“ (1 ინ. 5,11).

* * *

ჩვენთვის რომ გადარჩენის ერთადერთი გზა მოეპოვებინა, მაცხოვარმა უდიდესი დამცირება, ცილისწამება და ტანჯვა დაითმინა და საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებით გამოგვიხსნა ჯოჯოხეთის ტყვეობისგან.

მართალია, ქრისტეს აღდგომით ბოროტება შეიმუსრა, მაგრამ განწმენდისა და ცოდვის ბიწისაგან გათავისუფლების პროცესი სულიერი ღვაწლითა და მრავალი განსაცდელის ღირსეულად დათმენით ყველამ პიროვნულადაც უნდა აღვასრულოთ, – უნდა ძალისამებრ ჩვენისა განვაახლოთ შემოქმედის ხატება და მსგავსება ჩვენში (ანუ შინაგანად შევძლოთ აღდგენა იმისა, როგორადაც შეგვქმნა უფალმა), რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ბრძოლას ჩვენს ეგოისტურ აზროვნებასთან და ვნებებთან.

ეს არის გარდაუვალი ომი საკუთარ თავთან, რაც აუცილებლად მოუწევს ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს.

ამ ომში გამარჯვება წარმოუდგენელია ღვთის შემწეობის გარეშე, სიკვდილის დამთრგუნველი უფლის რწმენის გარეშე, რადგან საწუთრო და მისი საცდურნი იოლად არ ანებებენ თავს ადამიანს და მრავალგვარ მახეს უგებენ ცრუ თავისუფლების სახელით. წუთისოფელი და მისი წარმავალი სიკეთენი ჩვენს დაცემულ ბუნებას თავისკენ იზიდავს და ცოდვის მორევში ადვილად აქცევს მრავალთ.

სულ სხვაა მორწმუნეთა ცხოვრება. ესაა მუდმივი სვლა მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით, რწმენისა და სიმართლის ვიწრო გზით; და ისინი, საკუთარ თავთან ბრძოლაში გამარჯვებულნი, სძლევენ წუთისოფელს (1 ინ. 5,4).

მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ომს თავის თავთან კი არ აწარმოებს, არამედ მოყვასთან და შუღლითა და დაპირისპირებით ცდილობს საკუთარი ეგოისტური მიზნების განხორციელებას.

დიდი უბედურების მომტანია ქვეყნებს შორის ომი, რადგან იგი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ფეხქვეშ თელავს ყოველგვარ კანონს, ზნეობას, ღირებულებას, მოაქვს ნგრევა და მატერიალურ-კულტურული ზიანი, თესავს სისასტიკესა და საყოველთაო სიძულვილს, რაც, რა თქმა უნდა, სულიერადაც მეტად მძიმე ვითარებას ქმნის.

ასეთ გარემოში მნიშვნელოვანია და აუცილებელი თანალმობისა და სიკეთის გამოჩენა ომის მსხვერპლთა მიმართ (დაჭრილების, ტყვეების, მშიერ-მწყურვალთა, ბავშვების, ქალების, მოხუცების, სნეულთა და სხვათადმი), რათა დაიძლიოს ბოროტება.

უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამიტომაც, ყველას გვმართებს განსაკუთრებული ლოცვა და ძალისხმევა მშვიდობისათვის.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც აღარავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შეიძლება მალე დასრულდეს, ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ან, შეიძლება, ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა.

* * *

ზოგადად, შიში, როგორც გადარჩენის ინსტინქტი, კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია, ყველაზე ძლიერი კი სიკვდილის შიშია, რაც ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან სულისა და ხორცის გაყრასთან არის დაკავშირებული და მათი ერთობის დამრღვევია.

თუმცა ქრისტეს მორწმუნეთ იციან, რომ სხეულის დაფვლა მიწაში და სტიქიონებად დაშლა ჩვენი არსებობის შეწყვეტას არ ნიშნავს, არამედ ეს პროცესი აუცილებელია, რათა სხეული განახლებული სახით აღდგეს.

ზოგიერთ ადამიანს უჭირს ამის დაჯერება, პავლე მოციქული მოკლედ და ნათლად ამბობს, რომ: „რასაც დავთესავთ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა“ (1 კორინ. 15, 36). ასევეა მკვდართა აღდგომაც... „ითესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული“ (1 კორინ. 15, 44), ხოლო ვისაც ეს აეჭვებს, ის დაეჭვებულია ქრისტეს აღდგომაშიც, „რადგან თუ მკვდარნი არ აღდგებიან, ქრისტეც არ აღმდგარა“ (1 კორინ. 15, 16)! – მართლმორწმუნისათვის ასეთი აზრი კი უდიდესი მკრეხელობაა და სულიერად დამღუპველი.

აღდგომილი მაცხოვარი არაერთგზის იხილეს მენელსაცხებლე დედებმა, მოციქულებმა, ხუთასზე მეტმა კაცმა და სხვებმა. იგი ორმოცი დღის მანძილზე არიგებდა და განაბრძნობდა თავის მოწაფეებს, რომელთაც, სულიწმინდის მადლით, მრავალ სასწაულთა აღსრულების უნარი მისცა; შემდეგ კი იესო ქრისტე ყველას თვალწინ ზეცად ამაღლდა და აღგვითქვა: „აჰა, მე თქვენთან ვარ დღენიადაგ, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა“ (მთ. 28.20), და კიდევ: „ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუხილავარ და – მირწმუნეს“ (ინ. 20.29)

* * *

ქრისტეს სასუფეველი მიუწვდომელი რჩება მათთვის, ვისაც არა აქვს შიში და სიყვარული ღვთისა და, ასევე, სიყვარული მოყვასისა, რაც შედეგია ჩვენი რწმენისა და მოღვაწეობითი ძალისხმევისა.

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, სიკვდილის ხაფანგისგან გამომხსნელი“ (იგ. 14,27). იგი სულიერი სიბრძნის დასაწყისია, რადგან ამ მადლის მქონეთ ეძლევათ სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი, უნარი გონივრული ნაბიჯების გადადგმისა და მშვიდობისმყოფლობისა, მოყვასის სიყვარულისა და მისთვის თავდადებისა.

ღვთის შიში სხვა შიშებისგანაც ათავისუფლებს ადამიანს და ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევას უადვილებს, რადგან იგი განსაცდელსა და მწუხარებას მისთვის საჭირო მწარე, თუმცა მაკურნებელ, წამლად მიიჩნევს და ეშინია მხოლოდ იმისა, რომ არ შეექმნას სულიერი სიკვდილის საფრთხე (შდრ. მთ. 10, 18).

ღვთის შიში უფალთან სიახლოვით მტკიცდება, უფრო აღმატებულ სულიერ მდგომარეობაში კი მას სრული სიყვარული ცვლის, როგორც ამბობს წმინდა იოანე ღვთისმეტყველი: „სიყვარულისთვის უცხოა შიში, რადგანაც სრულქმნილი სიყვარული განდევნის შიშს, – ხოლო ვისაც შიში აქვს, არასრულქმნილია სიყვარულში“ (1 ინ. 4. 18).

სრულქმნილი სიყვარულის მიღწევისათვის ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყველა საეკლესიო მსახურება გულისხმობს უფლისადმი ვედრებას: „შეგვეწიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყალენ და დაგვიცევ ჩვენ, ღმერთო, მადლითა შენითა“

მოციქული გვარიგებს, – ილოცეთ მუდამ (1 თეს. 5,17), რაც ადვილი არ არის, მაგრამ არსებობს მარტივი ლოცვა, რომელიც დიდად შეეწევა ადამიანს, თუკი რწმენით აღასრულებს მას. ეს არის „უფალო, შეგვიწყალენ.“

თქვენი ყოველდღიური ლოცვების გარდა, იმეორეთ იგი გულში ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ.

ეს ორი სიტყვა ღრმა აზრის შემცველია; მისი საშუალებით ჩვენ ვაღიარებთ, რომ ღმერთს ვართ მინდობილნი და მას შევთხოვთ მფარველობას, რომ ცოდვილნი ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს მისი მოწყალებისა, ვაღიარებთ იმასაც, რომ მის გარეშე ვერც სულიერ სიბრძნეს შევიძენთ და ვერც ბოროტს დავამარცხებთ.

ასე რომ, გამუდმებით ილოცეთ – „უფალო, შეგვიწყალენ“ და მარად გახსოვდეთ, რომ „თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულიწმინდისა, რომელიც გაქვთ ღვთისაგან...

ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა“ (1 კორინ. 6, 19-20); იღვაწეთ, რომ, წუთისოფელში თქვენი დროებითი მყოფობა ზესთასოფელში დაუსრულებელი მყოფობის წინაპირობად იქცეს, იცხოვრეთ მარადიული სიცოცხლისთვის, იცხოვრეთ ქრისტესთვის!

ქრისტე აღსდგა!

მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და განგამტკიცოთ რწმენასა და სიყვარულში.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,
ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი,
აღდგომა ქრისტესი, თბილისი, 2022.

უკრაინელებს პოლიტიკური აშლილობა ტანჯავთ!

„ნაციონალური მოძრაობის“ უკრაინულმა ვოიაჟმა ერთ კვირას გასტანა და ამ პერიოდში მხოლოდ ორი ოფიციალური შეხვედრის გამართვა მოახერხეს. საპარლამენტო დელეგაციას გამოყოფილ რადიკალურ ოპოზიციას შვიდი დღე დასჭირდა იმისთვის, რომ უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნებს მათთვის ემასპინძლა. რა თქმა უნდა, მასპინძელი დავით არახამია იყო, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობის“ წევრებთან დაახლოებული პირია. შეხვედრას ესწრებოდა რუსეთის მოქალაქე და რუსული ბიზნესების მფლობელი კობა ნაყოფიაც. არადა უკრაინის პრეზიდენტმა გერმანელ კოლეგას სულ ახლახან სტუმრობაზე უარი იმიტომ უთხრა, რომ ის რუსეთთან კავშირში დაადანაშაულა.

ექსპერტ ნიკოლოზ მეტრეველის აზრით, საუბარი ასევე შეეხებოდა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებასაც. მისივე თქმით, როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში არიან ადამიანები, ვისაც ჩვენს ქვეყანაში არეულობის მოწყობა სურთ.

„სავარაუდოდ, საუბრის ერთ-ერთი თემა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მცდელობა იქნებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით უკრაინის ხელისუფლებაში არის ადამიანების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ქართველ ხალხს ღიად უპირისპირდებიან. მინდა ყველას შევახსენო, ვინც ამას გააკეთებს, ის აუცილებლად სააკაშვილს გვერდით მიუჯდება“, – აღნიშნა **მეტრეველმა.**

თუმცა ანალიტიკოსი დასძენს, რომ ომში მყოფ უკრაინას ამავდროულად, სააკაშვილისთვის არ სცხელა. ექს-პრეზიდენტი ჩამოწერილი პოლიტიკოსია, რომლის საქმიანობაზეც ყველამ ყველაფერი იცის. მეტრეველის განცხადებით, ამის მიუხედავად, სააკაშვილს უკრაინაში მოკავშირედ რამდენიმე ადამიანი ჰყავს, ვისთანაც ფინანსური ურთიერთობა აკავშირებს.

ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ „ნაციონალური მოძრაობისა“ და უკრაინის მაღალჩინოსნების შეხვედრის შემდეგ, ომის ქვეყნიდან საქართველომ მორიგი ბრალდებების კორიანტელი მიიღოს.

„დავით არახამიასგან და სხვა მაღალჩინოსნისგან გამორიცხული არაფერია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ მორიგი დაგეგმილი ბრალდებები მოვისმინოთ. მსგავსი განცხადებები თუ კიდევ გაკეთდება, ეს მორიგი ბინძური პროვოკაცია იქნება და მეტი არაფერი. უკრაინის მხრიდან ბრალდებები უკვე მოვისმინეთ, როდესაც უსინდისოდ მოხდა საქართველოს დადანაშაულება, თითქოს ჩვენი ქვეყნიდან კონტრაბანდული ტვირთები რუსეთში იგზავნებოდა. ამისთვის კი ბოდიში არავის მოუხდია. ამიტომ, ახლაც ვიტყვი – ენას ძვალი არ აქვს და გამორიცხულიც არაფერია, რომ მორიგი ტყუილი ბრალდებების კორიანტელი წამოვიდეს“, – განაცხადა **ნიკოლოზ მეტრეველმა.**

კითხვაზე თუკი უკრაინის პრეზიდენტმა გერმანელი კოლეგა არ მიიღო იმიტომ, რომ რუსეთთან ურთიერთობაში დაადანაშაულა, რატომ შეუშვეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, რუსეთის მოქალაქე კობა ნაყოფია და თან მასთან შეხვედრებიც გამართეს? – ანალიტიკოსი გვპასუხობს:

„ძალიან კარგი კითხვაა. უკრაინის ხელისუფლებაში არის ადამიანების გარკვეული ნაწილი, რომელიც ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. აღნიშნული ფაქტი ყოვლად ამოუხსნელია, რომ რუსეთში გამდიდრებული კობა ნაყოფია უკრაინაში მაღალ დონეზეა მიღებული. კი ბატონო, ნება მათია, დაასაქმონ კიდევ ბევრი ადეიშვილისა და ლორთქიფანიძისნაირი, თუმცა ამით უკრაინის ხელისუფლება რასაც მოიმკის, ამასაც ვნახავთ“...

გერმანიის პრეზიდენტს რომ უარს ეუბნები და რუს ბიზნესმენ ნაყოფიას იღებ უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე, ეს უკვე ბიპოლარული პოლიტიკური აშლილობაა“...

* * *

ანალიტიკოს **დავით ძართველიშვილს** განცხადებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უკრაინაში თანამოაზრეების მონახულება მაინც მოახერხა. მისივე თქმით, აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილებოდა საკითხი, ხელისუფლებაში თუ როგორ დაბრუნდნენ. ანალიტიკოსი ასევე ამბობს, მას აქვს უკრაინიდან უტყუარი ინფორმაცია, რომ ვოლოდიმირ ზელენსკიმ ოპოზიციური ტელევიზიები დახურა. სახელისუფლებო ტელევიზიებში კი ანტიქართული პროპაგანდა მიმდინარეობს.

„ნაცების“ დელეგაციამ თავისიანების მონახულება მაინც მოახერხა. თავისიანებში ვგულისხმობ იმ საერთაშორისო კორპორაციის უკრაინელ წარმომადგენლებს, რომლებსაც მსოფლიოში არ გაჩნიათ მკვეთრად გამოხატული არც სამშობლო, არც რაიმე ვალდებულებები თავისი ქვეყნის წარსულთან თუ მომავალთან. ისინი დღევანდელი დღით საზღვრავენ საკუთარ გეგმებს და ეს გეგმები არის ერთადერთი – საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნება. ამიტომ ჩართული ჰყავთ უკრაინის მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა პროვოკაციებით ცდილობენ საქართველოს ხელისუფლებას შეცდომა დააშვებინონ და ქვეყანა საომარ მოქმედებაში ჩაითრიონ, მაგრამ ხელისუფლება მაგრად დგას და მათ პროვოკაციებს იგნორირებს.

ის, რომ არახამიასთან შეხვედრა მომავალ პროვოკაციების დაგეგმვაზე იყო აგებული, ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის უტყუარი ინფორმაცია, რომელსაც უკრაინიდან ბოლო სამი დღის განმავლობაში ვიღებ. დღეს უკრაინაში ოპოზიციური ტელევიზია აღარ არსებობს, რადგან პრეზიდენტმა ზელენსკიმ ყველა ასეთი ტელევიზია დახურა. არსებობს მხოლოდ პროსახელისუფლებო ტელევიზიები, სადაც ბოლო სამი დღეა ჟურნალისტური გამოკითხვა მხოლოდ ერთი საკითხის ირგვლივ ტრიალებს – როგორ გგონიათ, საქართველოსა და მოლდოვას ძალისხმევა შეიძლება ჩაითვალოს უკრაინისთვის საკმარისად, როდესაც საერთაშორისო სანქციების გევრდის ავლით საქართველო რუსეთთან კონტრაბანდულად თანამშრომლობს?

ასეთი არამეგობრული და მტრული გამოკითხვები ტარდება.

მეორე – საქართველოს საელჩო კიევში იყო უკანასკნელი, რომელმაც კიევი იძულებით დატოვა, ლვოვში გადაინაცვლა და ასევე, კიევში პირველი დაბრუნდა. პრეზიდენტმა ზელენსკიმ საქართველოსა და მოლდოვის საელჩოების გარდა, უკრაინაში აკრედიტირებულ ყველა დიპლომატიურ მისიას მადლობა გადაუხადა. მათ შორის მადლობა გადაუხადა სომხეთის საელჩოს, იმ სომხეთის საელჩოს, რომლის პრემიერ-მინისტრმა წარმატებული ვიზიტი განახორციელა პუტინთან და მნიშვნელოვან ხელშეკრულებს მოაწერა ხელი. ამის მიუხედავად უკრაინა არა თუ ერევნიდან საკუთარ ელჩის გამოწვევას არ აპირებს, ელემენტარულად კონსულტაციებისთვის კიევში არ ეპატიჟება და ელჩს არ ეკითხება, რატომ არ გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ ომის ფონზე ეს ვიზიტი არ შემდგარიყო? საინტერესო ის არის, რომ ერევანში უკრაინის ელჩი არის უკრაინის მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტრის დიმიტრო კულებას მამა“, – განაცხადა **დავით ქართველიშვილმა.**

ანალიტიკოსს ადრე ეჭვი ჰქონდა, რომ არახამია და მისი თანამოაზრეები, პრეზიდენტ ზელენსკის „აბრმავებდნენ“ და საქართველოზე არასწორ ინფორმაცას აწვდიდნენ. ახლა კი დარწმუნებულია, რომ ყველა ერთ გუნდს წარმოადგენს.

„ადრე მსგავსი ეჭვები მქონდა, რომ საწყალი ზელენსკი „ნაცების“ ტყვეობაში“ იმყოფებოდა. დღეს უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ერთ გუნდს წარმოადგენენ, რომლებსაც ეროვნება არ აქვთ. ისინი საერთაშორისო კორპორაციის შვილები არიან. იმ კორპორაციის, რომელმაც მსოფლიოს შესთავაზა სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი ფორმა – ფერადი რევოლუციების გზით უკანონოდ ჩამოაშორონ ამა თუ იმ ქვეყანაში კანონიერი ხელისუფლება, რათა ქვეყნის სათავეში მოვიდნენ“!..

დავით ძართველიშვილი კობა ნაყოფიას უკრაინაში ყოფნასაც შეეხო. მისი თქმით ნაყოფიას უკრაინაში ვიზიტი დასტურია იმისა, უკრაინელებს ბიპოლარული პოლიტიკური აშლილობა აქვთ.

„ფულს სუნი არ აქვს, ეს არის ნაცების საყვარელი გამონათქვამი. გერმანიის პრეზიდენტს რომ უარს ეუბნები და რუსული პასპორტით, რუს ბიზნესმენს ნაყოფიას იღებ უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე, ეს უკვე ბიპოლარული პოლიტიკური აშლილობის სერიოზული მაგალითია“, – განაცხადა ანალიტიკოსმა.

ქეთი გიორგაძე

კახა გოგოლაშვილი: თუ ამ ომში რუსეთმა გაიმარჯვა, მაშინ ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, რადგან ეს იქნება მესამე მსოფლიო ომის პროვოცირება!

საქართველოში მყოფმა ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწემ, ჯეიმს აპატურაიმ კიდევ ერთხელ დაგვმოძღვრა, რომ ნატო ცდილობს გაიაროს ძალიან დელიკატურ ხაზზე და დაიცვას ბალანსი – „ჩვენ არ გვსურს რუსეთს მიზეზი მივცეთ, რომ ნატო ერევა უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტში“.

ანალიტიკოსი კახა გოგოლაშვილის შეფასებით, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ეს პოზიცია გამომდინარეობს იქიდან, რომ ნატო ფრთხილობს, რუსეთმა ბირთვული იარაღი არ გამოიყენოს. მისივე თქმით, საქართველო-უკრაინის ნატოში გაწევრება მიმდინარე ომში რუსეთის დამარცხებაზეა დამოკიდებული. თუკი პუტინი უკრაინის დამარცხებას შეძლებს, მაშინ ნატოს კარი იქამდე დაიკეტება ქართველებისთვის და უკრაინელებისთვის, ვიდრე პუტინი ხელისუფლებაში იქნება.

– რას ნიშნავს ნატოს მაღალჩინოსნის ასეთი განცხადება ომთან მიმართებაში?

– როდესაც ნატოს მხრიდან უკრაინისთვის იარაღის გადაცემაზე იყო საუბარი, მაშინვე თქვეს, რომ ეს რუსეთს არ უნდა მიეღო ისე, თითქოს ნატო კონფლიქტში უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას. დასავლეთი ყველაფერს აკეთებს, რათა ესკალაცია არ გაიზარდოს და ამავე დროს ცდილობს უკრაინა დაიცვას. აპატურაის განცხადება სწორედ ამას ნიშნავს.

– ეს განცხადება ხომ არ ნიშნავს იმასაც, რომ ნატოს რუსეთის ეშინია?

– ნატოს რუსეთის არ ეშინია. საუბარია იმაზე, რომ ეს კონფლიქტი მთელ ევროპას არ გადაედოს და ბირთვულ ომში მილიონობით ადამიანი არ დაიხოცოს – ნატოს ამის ეშინია. ლაპარაკია სიფრთხილეზე და არა შიშზე.

– ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთს ნატოს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ბირთვული იარაღით ემუქრება და აჩუმებს?

– ნატოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი, დიდი ალბათობით, ბირთვული იარაღის ომში გადაიზრდება. რა თქმა უნდა, კონვენციური იარაღით ნატო რუსეთს დაამარცხებს.

იხ. 7 გვ.

ქართული ეროვნული პავილიონი ვენეციაში

თანამედროვე ხელოვნების ვენეციის 59-ე საერთაშორისო ბიენალეზე საქართველოს ეროვნული პავილიონი გაიხსნა. გახსნის ოფიციალურ ღონისძიებაში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა მიიღო მონაწილეობა.

მინისტრმა აღნიშნა, რომ პროექტის ავტორებმა, მარიამ ნატროშვილმა და დეთუ ჯინჭარაძემ აბსოლუტურად განსხვავებული პროექტი წარმოადგინეს ვენეციის ბიენალეს ფარგლებში.

„ჩვენ არაერთი სხვა ქვეყნის მიერ წარმოდგენილ პავილიონებს ვეწვიეთ და არ ვიქნები მიკერძოებული, თუ ვიტყვი, რომ ეს არის ერთ-ერთი გამორჩეული პავილიონი საქართველოდან მთელი ბიენალეს ფარგლებში. ეს არიან ახალგაზრდა ხელოვანები, რომლებიც თბილისში საქმიანობენ და როდესაც კონკურსი ჩავატარეთ და შევარჩიეთ პროექტი, ჩვენთვის ესეც იყო მნიშვნელოვანი, რომ არა მხოლოდ ახალი და ახალგაზრდა თაობის ხელოვანები წარმოგვედგინა ბიენალეზე, არამედ წარმოგვედგინა ისინი, ვინც საქართველოშია დარჩენილი, საქართველოში ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. რასაკვირველია, ეს პროდუქტი, რომელიც ძალიან ბევრ მნახველს ახარებს და აინტერესებს, არის გამორჩეული იმიტომ, რომ ახალ ტექნოლოგიებს იყენებს. ე.წ. VR-ის ტექნოლოგია ჯერ კიდევ ახალი სიტყვაა ხელოვნებაში და დისკუსიაც კი მიმდინარეობს იმის შესახებ, არის თუ არა ეს ხელოვნების მომავალი. ამიტომ ქართული პავილიონი და ქართველები არიან ავანგარდში, ამას მხარს უჭერს კულტურის სამინისტრო და არ დაგიმალავთ, ეს ძალიან გვეამაყება კიდეც“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წელს პირველად, ვენეციის ბიენალეს საქართველოს ეროვნული პავილიონის ფარგლებში, ახალგაზრდებისთვის სახელოვნებო რეზიდენცია მუშაობს, ხოლო ვენეციიდან დაბრუნებისთანავე რეზიდენტებს კულტურის სამინისტრო მის მუზეუმებში მუშაობის დაწყებას შესთავაზებს.

ვენეციის ბიენალეზე საქართველოდან წარმოდგენილია კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული პროექტი „მე ვწუხვარ ბაღზე“, რომლის წარმდგენი ორგანიზაციაა ა(ა)იპ ,,მდგომარეობებს შორის“.

„მე ვწუხვარ ბაღზე“ თბილისში მცხოვრები და მომუშავე მხატვრების, მარიამ ნატროშვილის და დეთუ ჯინჭარაძის ნამუშევარია. ეს არის მულტიმედიური პროექტი, რომელიც მოგვითხრობს დასასრულის წინათგრძნობაზე და დიდი ზომის ვიდეო ინსტალაციის და VR (ვირტუალური რეალობის) გამოცდილების საშუალებით მნახველს ანთროპოცენის ეპოქის მაგიურ რეალიზმში იწვევს. VR გამოცდილების ცენტრალური სცენა გადაშენებული მცენარეების ბაღია, რომელიც ადამიანის ჩარევის შედეგად გამქრალ მცენარეებს აერთიანებს. აჩრდილების ბაღი, ეკოლოგიური კრიზისი, წარმოდგენილია, როგორც დასასრულის ერთ-ერთი ნიშანი. ვიდეო ნამუშევარში ვიზუალური რიგითობა წინასწარ განსაზღვრული არ არის და თვითგენერირებადია. ვიდეო-თამაშის პლატფორმაზე აწყობილი VR გამოცდილება ინტერაქციულია. „მე ვწუხვარ ბაღზე“ მაყურებელს თხრობის მითო-პოეტური ფორმებით მოდელირებულ იმერსიულ გარემოში აქცევს.

ვენეციის საერთაშორისო გამოფენა 2022 წლის 27 ნოემბრამდე გასტანს. 59-ე ბიენალეს კურატორია სესილია ალემანი, საერთაშორისო გამოფენის თემა და სახელწოდებაა „რძე სიზმრებისა“. კულტურის სამინისტრომ საქართველოს ეროვნული პავილიონის მოსაწყობად საგამოფენო სივრცე ვენეციაში, კუნძულ ჯუდეკაზე შეარჩია (132 კვ.მ., მისამართი: Fondamenta S. Biagio, 800/o, 30133 Venezia VE, Italy, რომელიც 13 აპრილიდან 1 დეკემბრამდე საქართველოს განკარგულებაში იქნება.

როგორც ცნობილია, კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, წელს პირველად, ვენეციის 59-ე ბიენალეს მიმდინარეობის 7 თვის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული პავილიონის ფარგლებში იმუშავებს სახელოვნებო რეზიდენცია ქართველი ახალგაზრდებისათვის. პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდა ხელოვანების შესარჩევად კულტურის სამინისტრომ კონკურსი მიმდინარე წლის მარტში გამოაცხადა, რომლის ფარგლებშიც რეზიდენციის 5 მონაწილე გამოვლინდა.

თბილისმა წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი გვადალახარას გადაულოცა!

იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი თბილისმა მექსიკის ქალაქ გვადალახარას გადასცა. სტატუსის გადაცემის ცერემონიას, რომელიც გვადალახარაში შედგა, თბილისიდან ოფიციალური დელეგაცია დაესწრო. ღონისძიებაზე იყვნენ თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია, „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორი ნინია მაჭარაშვილი და პროექტის განმახორციელებელი გუნდის წევრები.

სტატუსის გადაცემის ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ იუნესკოსა და გვადალახარას მერიის წარმომადგენლები, მექსიკელი მწერლები, გამომცემლები და სხვა საპატიო სტუმრები.

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის პროექტის დასრულების შემდეგ, ჩვენი დედაქალაქი, მსოფლიოს რუკაზე, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ამ ერთი წლის განმავლობაში, ლიტერატურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარებისთვის არაერთი პროექტი განხორციელდა. მადლობა იუნესკოს ამ შესაძლებლობისთვის და მადლობა გუნდს, რომელმაც ჩვენი დედაქალაქისთვის ასე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. ვუსურვებ წარმატებას გვადალახარას, რომელმაც იუნესკოს ესტაფეტა თბილისისგან გადაიბარა. მე კარგად გავეცანი მათ პროგრამას და მჯერა, რომ ქალაქსა და მთელი ქვეყნის მოსახლეობას, წინ საინტერესო ერთი წელი ელის“, – განაცხადა თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაიამ.

თბილისი იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021 წლის 23 აპრილიდან, ერთი წლის განმავლობაში იყო. ამ ხნის განმავლობაში, 50-ზე მეტი მასშტაბური, სახალხო, პროფესიული, საბავშვო, ახალგაზრდული, ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტი განხორციელდა. დაარსდა საბავშვო წიგნის ფესტივალი და ლიტერატურული პრემია „ნაკადული“, განახლდა თბილისის ყველა საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა, მწერლების, მთარგმნელებისა და გამომცემლობებისთვის ჩატარდა არაერთი კონკურსი, ლექცია-სემინარები, განხორციელდა ადგილობრივი თუ საერთაშორისო რეზიდენციები.

პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, განხორციელდა არაერთი სახალხო ღონისძიებაც. მათ შორის, წიგნების ფლიმარკეტები, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონისა და სხვათა შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები. ასევე, ჩატარდა სამი ლიტერატურული ბანაკი სტუდენტებისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებისთვის. გახმოვანდა და აუდიო წიგნების სახით გამოვიდა თანამედროვე ქართველი ავტორების ნაწარმოებები, დაარსდა საბჭოთა რეჟიმის მიერ რეპრესირებული მწერლების მუზეუმი და უამრავი სხვა. **პროექტის მთავარი განმახორციელებელი იყო თბილისის მერია, გენერალური სპონსორი – საქართველოს ბანკი, პარტნიორები: მწერალთა სახლი, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია, ლიტერატურის მუზეუმი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, აშშ-ის საელჩო საქართველოში, გოეთეს ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეროვნული ბიბლიოთეკა, ჯეოლაბი, აჭარა ჯგუფი, პოსტრედი და სხვა.**

„ვეფხისტყაოსნის“ კურთხევა მექსიკაში

„ვეფხისტყაოსნის“ პრეზენტაცია მექსიკის ქალაქ გვადალახარაში – სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი და ისტორიული ღონისძიებით იწყებს თბილისი იუნესკოს პროგრამის, „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში, გვადალახარისთვის წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის გადაცემას. „ვეფხისტყაოსანი“ ესპანურ ენაზე მალაგას უნივერსიტეტში ითარგმნა და 120-მილიონიან მექსიკას ეს ნაწარმოები დღეს პირველად წარუდგინეს.

დღეიდან საქართველოს მთავარი ლიტერატურული სიმდიდრე თითოეული მექსიკელისთვის იქნება ხელმისაწვდომი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს დელეგაცია და მექსიკაში საქართველოს ელჩი ზაზა გაბუნია.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თბილისის დელეგაციას ვმასპინძლობ. მექსიკა არის კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა. პატივს ვცემ თქვენს ძალიან მდიდარ კულტურას და ბედნიერი ვარ, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ისევე ახლოს მიიღებენ მექსიკელები, როგორც ყველა მისი მკითხველი“, – აცხადებს გვადალახარას მერი პაბლო ლემუს ნავარო.

„გვადალახარას მერს გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება. „იუნესკოს“ ფარგლებში მოვახდინეთ ის, რომ გვადალახარას ბაზრობაზე ქართველი ავტორები პირველად წარდგნენ. ეს არის მსოფლიოში სიდიდით მეორე ესპანურენოვანი ბაზრობა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ავტორებს ასეთი შესაძლებლობა მიეცა. რა თქმა უნდა, გვადალახარასთან მჭიდრო კავშირში დავრჩებით“, – ამბობს თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია.

აღსრულდა ღვაწლმოსილი ქორეოგრაფების ოცნება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, თეა წულუკიანი ქართული ფოლკლორის გადარჩენისა და განვითარების ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიულ ცენტრს ეწვია და მის წინაშე მდგარ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

„ქორეოგრაფიული ცენტრი ყოფილ რკინიგზელთა სახლში 1975 წლიდან ფუნქციონირებდა, მაგრამ ის შენობიდან 2008 წელს გამოასახლეს. ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ საქართველოს დამსახურებული ქორეოგრაფი, ღირსების მედლის მფლობელი, არაერთი კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატი, ნოდარ ქოთოლაშვილი. ნოდარ ქოთოლაშვილის თქმით, ქორეოგრაფიული ცენტრის უმთავრესი პრობლემა დაკავშირებულია ყოფილი რკინიგზელთა სახლის მომიჯნავე ნაგებობასთან (რკინიგზელთა სახლის ყოფილი საწყობი), რომელშიც ღვაწლმოსილი ქორეოგრაფები 2008 წელს, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ, შეასახლა საქართველოს კულტურის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ და რომლიდანაც მათ გამოსახლებას ახლა სასამართლო წესით ითხოვს ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი. ამ პრობლემის მოგვარების თხოვნით მიმართა მან საქართველოს კულტურის მინისტრს.

სწორედ ამ მიმართვის შედეგად გახდა საქართველოს კულტურის სამინისტროსათვის ცნობილი თეატრის მიერ წამოწყებული დავისა და თეატრის სასარგებლოდ 2022 წლის 21 იანვარს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ხანდაზმული ქორეოგრაფების მათ მიერ 2008 წლიდან დაკავებული სივრცეიდან გამოსახლებას ეხება. საქართველოს კულტურის მინისტრმა შეხვედრა გამართა ქორეოგრაფებთან და მათთან შეთანხმებით დაადგინა ის პირობები, რომლებიც, როგორც ქორეოგრაფების, ისე სამინისტროსათვის მისაღებია. მორიგების პირობები გულისხმობს ქორეოგრაფიული ცენტრისათვის მის მიერ დაკავებული ფართის ოჯარით ხელახლა გადაცემას 5 წლის ვადით, ამ ვადის გაგრძელების შესაძლებლობის გარეშე, რასაც ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომელთაც არაერთი თაობა ჰყავთ ყოფილ რკინიგზელთა სახლში აღზრდილი, სიხარულით დათანხმდნენ. თუმცა, ამ პირობებს დღემდე არ თანხმდება თეატრის ხელმძღვანელობა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის სამინისტრომ, ქორეოგრაფიული ცენტრის სასარგებლოდ და მისი პოზიციების დაცვის მიზნით, უკვე მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომელიც ამჟამად იხილავს გამოსახლების შესახებ დავას. სამინისტრომ, მოცემულ საქმეზე გამოსახლების დაუშვებლობის შესახებ აგრეთვე შეატყობინა ქონების მართვის სააგენტოს.

ამჟამად, საქართველოს კულტურის სამინისტრო ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს, რომლის შედეგადაც, ქორეოგრაფიული ცენტრის მიერ დაკავებული ფართი, როგორც სახელმწიფო ქონება, თეატრის სარგებლობიდან სამინისტროს ბალანსზე აღირიცხება და სამინისტროს მიერ გაფორმდება ქორეოგრაფებთან შეთანხმებული პირობების დაცვით ოჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით“, –-ნათქვამია ინფორმაციაში.

ფინეთი და შვედეთი მალე ნატოში შევლენ! მექსიკის პრეზიდენტი – ყველაზე გამძლე თევზი

ცხოვრების დონით გამორჩეული, ევროპის ორი სახელმწიფო, შვედეთი და ფინეთი ყოველთვის არიდებდნენ თავს ნატოში გაწევრებას, და მათ ამ ნეიტრალიტეტს ალიანსის წევრები შეჩვეულები იყვნენ. რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე კი, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, ანუ მათი თავშეკავება ნატოში გაწევრების მიმართ, მომენტალურად შეიცვალა ალიანსისკენ მათი სწრაფვით.

13 აპრილს, ფინეთის პრემიერ-მინისტრი, ქალბატონი სანნა მარინი, შვედეთის პრემიერ-მინისტრს, ქალბატონ მაგდალენა ანდერსონს შეხვდა. შეხვედრის დასასრულს, ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე, მათ განაცხადეს, რომ ფინეთი და შვედეთი განიხილავენ საკითხს ნეიტრალურ სტატუსზე უარის თქმასა და ნატოს სამხედრო ალიანსში გაწევრების შესახებ. განცვიფრებულ მსოფლიოს ფინეთის პრემიერ-მინისტრმა განუცხადა, როცა საქმე უსაფრთხოებას ეხება, ჩვენ და შვედეთს საერთო ხედვა გვჭირდება მომავალზე და ახლა სწორედ ამას ვაანალიზებთ და აზრებს ვაჯერებთო.

ნატოს წევრობაზე განაცხადის შეტანის ზუსტ დროს ვერ გეტყვით, თუმცა, ბევრი არ დაგვაგვიანდება, და გადაწყვეტილებას რამდენიმე კვირაში მივიღებთო. ევროპულ პრესას თუ დავუჯერებთ, ალიანსში გაწევრებაზე განაცხადს ფინეთი და შვედეთი ამ ზაფხულს გააკეთებენ. სოციოლოგიურმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ამ საკითხში, ამ ორი ქვეყნის მოსახლეობაც ემხრობა თავიანთ მთავრობებს. ზოგადად, რუსულ-უკრაინული ომის კვალდაკვალ, მკვეთრად მოიმატა ნატოს ალიანსში გაწევრების მომხრეთა რაოდენობამ, რაც, ცხადია, რუსეთს ძალიან აღიზიანებს. ამას ჰქვია, თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო! მოსკოვი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას უფრთხოდა, და ახლა კი, მისი ჩრდილოეთის მიმართულებით გაძლიერების ფაქტის წინაშეც დადგა. რუსეთმა, ჩვეულებისამებრ, ისევ დაშინებისა და შანტაჟის პოლიტიკას მიმართა. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი, დმიტრი მედვედევი, რომელიც ამჟამად ქვეყნის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, ასე გამოეხმაურა ამ ამბავს: თუ შვედეთი და ფინეთი ნატოში შევლენ, გამოდის, ალიანსის სახმელეთო საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან ორჯერ უფრო მეტად გაიზრდება, და ასეთ შემთხვევაში, ბალტიის არაბირთვულ სტატუსზე საუბარი შეუძლებელი იქნება, რადგან, ბალანსის აღდგენა გახდება საჭიროო.

რაც შეეხება თავად ნატოს გენერალურ მდივანს, მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ალიანსი ფინეთსა და შვედეთს სიამოვნებით მიიღებს თავის რიგებში. ამ ქვეყნებს ნეიტრალიტეტის დიდი ხნის ისტორია აქვთ. შვედეთი უძველესი ნეიტრალური სახელმწიფოა, რომლის სამხედრო-პოლიტიკური ნეიტრალურობა ნაპოლეონის ომების დასრულებას უკავშირდება. ოფიციალურად, გუსტავ XIV-მ 1834 წელს გამოაცხადა შვედეთი ნეიტრალურ ქვეყნად. ფინეთში კი, რომელიც 1917 წლამდე რუსეთის იმპერიის ნაწილი გახლდათ და რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების მერე მოიპოვა დამოუკიდებლობა, სულ სხვაგვარად იყო საქმე. 1939 წელს, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის მიღების შემდეგ, საბჭოთა კავშირი თავს დაესხა ფინეთს, მაგრამ მისი სრული დაპყრობა ვერ მოახერხა. საბჭოთა აგრესიისგან თავის დასაცავად, 1941-44 წლებში, ფინეთი გერმანიის მოკავშირედ იქცა.

ნაცისტური გერმანიის დამარცხების გამო, ფინეთის დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროება გაჩნდა. ამიტომ, იძულებული გახდა, ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინა. ეს პროცესი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში შევიდა ფინლანდიზაციის სახელწოდებით, ანუ, როცა ძლიერი სახელმწიფო მასზე სუსტ მეზობელ ქვეყანას აიძულებს, დათანხმდეს მის წესებს საერთაშორისო ურთიერთობებში. სანაცვლოდ კი, ნომინალურ დამოუკიდებლობასა და საკუთარი პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებას სთავაზობს. ცივი ომის დამთავრების შემდეგ, შვედეთი და ფინეთი ნატოს პარტნიორი ქვეყნები გახდნენ, მონაწილეობდნენ რა ნატოსთან ერთად საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში.

ორივე ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა ავღანეთის სამხედრო მისიაში. მათი შეიარაღებული ძალები, ხშირად, ნატოს ქვეყნების სამხედრო ძალებთან ერთად გადიან ხოლმე წვრთნებს. დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, თუ ეს ორი ქვეყანა ნატოში გაწევრდნენ, მაშინ, ეს ერთი დიდი სტრატეგიული მარცხი იქნება რუსეთისთვის. ფინეთ-რუსეთის საზღვარი, რომელიც დღეს 1300 კილომეტრია, ხვალ, შეიძლება, ყველაზე გრძელ საზღვრად იქცეს ნატოსა და რუსეთს შორის და, ცხადია, რუსეთს ამაზე რეაგირება მოუწევს.

რუსეთს ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობა შეექმნება ბალტიის ზღვაშიც, რადგან ნატოს საზღვაო ფლოტით გარშემორტყმული აღმოჩნდება. როგორც ჩანს, ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის სიტყვები მართლდება: პუტინმა უკრაინაში ომი გააჩაღა იმიტომ, რომ უნდოდა ნაკლები ნატო. ახლა კი, მიიღებს უფრო მეტს და უფრო ძლიერ ნატოსო. როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს შვედეთსა და ფინეთში ახლა-მიმდინარე დებატები ნატოს წევრობასთან დაკავშირებით, ცხადია, რომ რუსეთის აგრესიისგან თავის დასაცავად, ევროპაში უსაფრთხოების ახალი სისტემა ყალიბდება.

* * *

მექსიკის 65-ე პრეზიდენტს პრესაც და ხალხიც, მოფერებით, ამლოს ეძახიან: ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორ – ამლო. ამ სახელთა ინიციალებისგანაა შემდგარი. ის 68 წლისაა და სამხრეთ მექსიკაში დაბადებულა ტაბასკოს შტატის ერთ სოფელში. მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. მშობლები თავს ვაჭრობით ირჩენდნენ.

19 წლისა სოფლიდან მრავალმილიონიან მეხიკოში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც უმაღლესი განათლება მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიიღო. ლოპეს ობრადორი, იმთავითვე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1970 წელს, იგი მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციურ პარტიაში გაწევრდა, რომელიც მაშინ ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალა იყო, და აქტიურად ჩაება პარტიის საარჩევნო საქმიანობაში. მალე, თავის მშობლიურ ტაბასკოს შტატში პარტიის რეგიონულ ლიდერობასაც მიაღწია, მაგრამ მოხდა ისე, რომ რამდენიმე წლის აქტიური მუშაობის შემდეგ, პარტია დატოვა, რადგან პარტიის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა.

1989 წელს, ლოპეს ობრადორი მაშინ ახლად შექმნილ დემოკრატიული რევოლუციის პარტიას შეუერთდა, რომელიც მექსიკაში ცნობილმა მემარცხენე ლიდერმა კუაუტემოკ კარდენასმა დაარსა სხვა მემარცხენე პოლიტიკოსებთან ერთად. მალე ის პარტია ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ ძალად იქცა. სამი წლის განმავლობაში მიუძღოდა ლოპეს ობრადორი ამ პარტიას, რომლის პოლიტიკური პლატფორმის გამოყენებით, 2000 წელს, მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს მერის არჩევნები მოიგო. ექვს წელიწადს იყო ობრადორი ამ თანამდებობაზე.

მეხიკო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ქალაქია, რომლის მოსახლეობა, გარეუბნების ჩათვლით, 21 მილიონს აღწევს, და ცხადია, ამხელა ქალაქის მერს დიდი გავლენა ექნებოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ობრადორმა არაერთი სოციალური რეფორმა გაატარა ლოზუნგით **„ღარიბები პირველ რიგში“!** ხანდაზმულთათვის დააწესა პენსია, განახორციელა პროგრამები მარტოხელა დედებისა და უმუშევრების დასახმარებლად. 2003 წელს, მსოფლიოს ქალაქების მერების რეიტინგში, მან მეორე ადგილი დაიკავა. და აი, 2006 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში, მემარცხენეთა გაერთიანებულმა ბლოკმა ლოპეს ობრადორი თავის კანდიდატად დაასახელა, რამაც დიდი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია მექსიკაში: მმართველი პარტიის კანდიდატმა ფელიპე კალდერონმა და ოპოზიციის ლიდერმა ლოპეს ობრადორმა ხმათა თითქმის ერთნაირი რაოდენობა მოაგროვეს.

კალდერონმა მხოლოდ 0,6 პროცენტით აჯობა ობრადორს და საარჩევნო კომისიამ კალდერონი მიიჩნია გამარჯვებულად. ობრადორმა და მისმა მოძრაობამ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადეს და მხარდამჭერებს ქუჩაში გასვლისკენ მოუწოდეს. მარტო მეხიკოში, ორ მილიონამდე ადამიანი გამოვიდა. საპროტესტო ტალღა მოედო მთელს მექსიკას. კრიზისი დაახლოებით ექვს თვეს გაგრძელდა. მექსიკის რევოლუციის დღეს, 20 ნოემბერს, ხალხმრავალი მიტინგის დროს, ოპოზიციამ ქვეყნის კანონიერ პრეზიდენტად ლოპეს ობრადორი გამოაცხადა, რის გამოც, ობრადორმა და მისმა პარტიამ დიდი კრიტიკა დაიმსახურეს.

მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიულმა ქვეყანამ გააკრიტიკა ობრადორის ეს საქციელი. მას უკან დახევა მოუწია. ის პოლიტიკური კრიზისი მექსიკის ისტორიაში კაქტუსების რევოლუციის სახელწოდებით შევიდა. 2012 წელს, მემარცხენეებმა საპრეზიდენტო არჩევნებში, ობრადორი ისევ თავის კანდიდატად წამოაყენეს, მაგრამ იგი ამ არჩევნებშიც დამარცხდა, რის შემდეგაც, მან დატოვა თავისი პარტია და მემარცხენეთა ახალი ბლოკი, ეროვნული აღორძინების მოძრაობა შექმნა, სახელწოდებით, მორენა.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამ მოძრაობამ, სხვა მემარცხენე პარტიებთან ერთად, თავის კანდიდატად ლოპეს ობრადორი დაასახელა.

საარჩევნო კამპანიის დროს, ობრადორმა თავისი პროგრამა, ერის ალტერნატიული პროექტი 2018-24-ი წარადგინა, რომლის ძირითადი პუნქტები კორუფციასთან, კრიმინალთან და სიღარიბესთან ბრძოლის გაძლიერება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, სამუშაო ადგილების შექმნა, ხელფასების გაზრდა, პენსიების გაორმაგება და მოსახლეობის უფასო განათლებისა და მედიცინის ხელმისაწვდომობის გაფართოება იყო. ამ არჩევნებზე ობრადორმა ხმით 53 პროცენტი მიიღო, და ახლა უკვე მესამე მცდელობის შედეგად, მან საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო. 2018 წლის პირველ დეკემბერს, ლოპეს ობრადორის ინაუგურაცია გაიმართა. ის პირველი დემოკრატიულად არჩეული მემარცხენე პრეზიდენტია მექსიკაში.

პრესამ მის გამარჯვებას მექსიკის მარცხნივ შემობრუნება უწოდა. აღსანიშნავია, რომ ობრადორის გამარჯვება ლათინურ ამერიკაში მემარცხენეობის კრიზისის ფონზე მოხდა. ითვლება, რომ მისი ამ გამარჯვებით მემარცხენეებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ. ობრადორმა ომი გამოუცხადა ნარკოკარტელებს და ნავთობის ქურდებს. ოფიციალური მონაცემებით, 2018 წელს, მექსიკაში არალეგალურად სამი მილიარდი დოლარის ღირებულების ნავთობია მოპოვებული. კრიმინალთან ბრძოლის მიზნით, ლოპეს ობრადორმა ეროვნული გვარდია შექმნა. ობრადორის საგარეო პოლიტიკა ზიგზაგური ხასიათისაა. 2019 წლამდე, მას სხვა ქვეყანაში არცერთი ოფიციალური ვიზიტი არ განუხორციელებია.

ობრადორის აზრით, მთავარი, საშინაო პოლიტიკაა. ის ხშირად ამბობს, საუკეთესო საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკაა. ლტოლვილების გამო, მას ურთიერთობა გაუფუჭდა ტრამპთან. 2019 წელს, ობრადორმა თავშესაფარი მისცა ბოლივიის გადამდგარ პრეზიდენტს, ევა მორალესს, მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, არ ცნო ვენესუელას პრეზიდენტის, მადუროს ლეგიტიმაცია. ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ორგანიზაციის სამიტზე, ობრადორმა არაორდინარული და საკამათო იდეა წამოაყენა. მისი აზრით, ამ ქვეყნებმა ევროკავშირის ტიპის ორგანიზაცია უნდა შექმნან. მოსახლეობა თავის პრეზიდენტს ელ პეხეს ეძახის, რაც პატარა გამძლე თევზს ნიშნავს. ხალხი თვლის, რომ ზუსტად ეს სახელი უხდება მის ჟინიან და შეუპოვარ ხასიათს. ლოპეს ობრადორი 20-მდე წიგნის ავტორია.

ის ახლა მეორე ქორწინებაშია. პირველი ცოლი სტუდენტობის დროს გაიცნო, რომელთანაც სამი ვაჟი ეყოლა. 2003 წელს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ობრადორს მეუღლე გარდაეცვალა. 2005 წელს, მეხიკოს მერობისას, მან ჟურნალისტი და მწერალი, ბეატრის გუტიერეს მიულერი გაიცნო. მათი ეს შეხვედრა პირველი ნახვით შეყვარება აღმოჩნდა, რაც მალე ქორწინებით დამთავრდა. ბეატრისი, წარმოშობით, ჩილელი გერმანელია, მაგრამ დიდი ხანია მექსიკაში ცხოვრობს. 2007 წელს, ობრადორების ოჯახს მეოთხე ვაჟიშვილი შეემატათ. ბეატრისი თანამედროვე მემარცხენე ფემინისტია. მან უარი განაცხადა პირველი ლედის ტიტულის ტარებაზე.

დღეს სულ ეს იყო. დიდად ვაფასებ მკითხველის ყურადღებას.

ნუგზარ (ბ) რუხაძე

ფინეთმა და შვედეთმა ნატოში შესვლა საბოლოოდ გადაწყვიტეს

ფინეთი და შვედეთი ნატოში გაწევრების შესახებ განაცხადს ოფიციალურად მაისის შუა რიცხვებში წარადგენენ. ფინეთისა და შვედეთის ლიდერები აპირებენ, რომ 16 მაისს შეხვდნენ და ამის შემდეგ, საჯაროდ გამოაცხადონ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების პროცესის დაწყების შესახებ.

როგორც შვედური მედია წერს, აშშ და ბრიტანეთი დაპირდნენ ქვეყანას, რომ გაზრდიან სამხედრო წარმომადგენლობას, სამხედრო წვრთნების რაოდენობასა და პოლიტიკურ მხარდაჭერას ნატო-ში გაწევრიანების შესაძლო პროცესის მიმდინარეობისას.

როგორც ორი კვირის წინ ფინეთის პრემიერ-მინისტრმა, სანა მარინმა შვედეთში ვიზიტისას განაცხადა, ფინეთი ნატოს წევრობაზე განაცხადის შეტანის საკითხზე გადაწყვეტილებას უახლოეს კვირებში მიიღებდა. თავის მხრივ, შვედეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ გადახედავს უსაფრთხოების პოლიტიკას, რაც გულისხმობს ნატოში შესაძლო გაწევრების საკითხის განხილვას. როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, იმის მიუხედავდ, რომ რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ შვედეთისა და ფინეთის თანამშრომლობა ნატოსთან გაძლიერდა, ორივე ქვეყანამ უპირატესობა მიანიჭა ალიანსის გარეთ ყოფნას. თუმცა რუსეთის ინტერვენციამ უკრაინაში შვედეთი და ფინეთი აიძულა, დაფიქრებულიყვნენ, არის თუ არა მათი ხანგრძლივი სამხედრო ნეიტრალიტეტი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საუკეთესო გზა.

ნატომ ფინეთში სამხედრო გემები წვრთნებისთვის გაგზავნა

სამხრეთ-დასავლეთ ფინეთში, ტურკუს პორტმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამი სამხედრო გემი მიიღო. ფინეთის ფლოტი ნატოს წვრთნებს გაივლის, – ამის შესახებ Reuters-ი წერს.

ორდღიანი წვრთნის ფარგლებში, რომელიც 28 აპრილს დაიწყება, ფინურ ხომალდებს წელს, ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართვისთვის მოამზადებენ.

პოლონეთმა უკრაინას ტანკები გადასცა

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავიეცკიმ ორშაბათს განაცხადა, რომ ვარშავამ უკრაინას ტანკები მიაწოდა. **„დიახ“, — ციტირებს პოლონური მედია პრემიერის სიტყვებს შესაბამისი კითხვის პასუხად. თუმცა, მორავიეცკიმ არ გაამჟღავნა ტანკების მიწოდების დეტალები. პრემიერ-მინისტრს ასევე ჰკითხეს, არის თუ არა კვლავ დღის წესრიგში უკრაინისთვის თვითმფრინავების გადაცემის საკითხი. „ამის საჭიროება არ არსებობს, ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა, ასეთი თხოვნა არ მიგვიღია“,** — თქვა მორავიეცკიმ.

რუსეთში პარტიზანული ომი დაიწყო?

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი ალექსეი არესტოვიჩი ვარაუდობს, რომ რუსეთის ქალაქებში მასობრივი ხანძრები შესაძლოა, პარტიზანული ომის დაწყებას მოწმობდეს.

არესტოვიჩმა ბრიანსკში გაჩენილი ხანძრის კომენტირებისას აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში რუსეთში გახშირდა თავდასხმები სამხედრო კომისარიატებზე, სადაც ახალწვეულებისა და რეზერვისტების პირადი მონაცემები ინახება, რაც, მისი აზრით, შესაძლოა, პარტიზანული ომის ნიშნები იყოს. **„უცნობია, რა ხდება რუსეთში. უსურიისკში სამხედრო ბაზა იწვის, სამხედრო კომისარიატები იწვის, სამხედრო სასწავლებლები, საწყობები, გუბერნატორების სახლები... მაქვს განცდა, რომ რუსეთში პარტიზანული ომი დაიწყო“,** — განაცხადა არესტოვიჩმა.

ბრიტანეთი უკრაინას აქეზებს - რუსეთის ტერიტორია დაბომბოს

დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მინისტრი ჯეიმს ჰიპი აცხადებს, რომ თუ უკრაინა რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმებს მიიტანს, ეს სავსებით ლეგიტიმური იქნება.

„ფაქტია, რომ უკრაინა იყო სუვერენული ქვეყანა, რომელიც საკუთარ საზღვრებში მშვიდობიანად ცხოვრობდა. შემდეგ სხვა ქვეყანამ გადაწყვიტა, მისი საზღვრები დაერღვია და 130 000 ჯარისკაცი შეეყვანა უკრაინის ტერიტორიაზე. ამით დაიწყო ომი უკრაინასა და რუსეთს შორის, და ამ ომში უკრაინას სჭირდება დარტყმა ოპონენტის ტერიტორიის სიღრმეში, რათა იერიში მიიტანოს ლოჯისტიკურ ხაზებზე, საწვავის მარაგებზე, საკომუნიკაციო ობიექტებზე, და ეს არის ომის ნაწილი“, — განაცხადა ჯეიმს ჰიპიმ. შეგახსენებთ, რუსეთი უკრაინას ბელგოროდსა და ბრიანსკის რეგიონების მიმართულებით იერიშებში ადანაშაულებს. აღნიშნული რეგიონები უკრაინას ესაზღვრება.

ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღის გაუმჯობესებაზე ზრუნავს

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი ბირთვული არსენალის გაძლიერების პირობას დებს. ეს განცხადება მან სამხედრო აღლუმზე გააკეთა, რომელიც ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებული ძალების შექმნის დღეს მიეძღვნა. აღლუმზე წარმოდგენილი იყო კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებიც. **„ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი ერის ბირთვული შესაძლებლობების განმტკიცებას რაც შეიძლება სწრაფი ტემპით“,** — განაცხადა კიმ ჩენ ინმა. ჩრდილოეთ კორეის ლიდერის თქმით, შეიარაღებული ძალები უნდა იყვნენ მზად ბირთვული იარაღის ნებისმიერ საჭირო დროს გამოყენებისთვის.

გურამ ქართველიშვილი: ილიას ანდერძით ძნელია, სიმართლე შეასმინო იმ საზოგადოებას, რომელმაც ილიაც კი აღარ იცის, ვინ არის!

ოდითგანვე დამპყრობელი იმპერიის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი დაპყრობილი ხალხის მორჩილებაში ყოლისთვის, ამ ხალხის ისტორიის გაყალბება და გაუფასურებაა. ეს ქართველებს წესით შესახსენებელი აღარ უნდა გვქონდეს რადგან ჩვენ ისტორიას ყველა გარე ძალა იყენებდა წარსულში სათავისოდ და დღეს უფრო ეფექტურად იყენებს. ამას კი საქართველოს დამპყრობლები ხშირად თავად ქართველი ვაიმეცნიერების მეშვეობით ახერხებდნენ და ახერხებენ დღესაც. ამიტომ ზოგი ქართველი ე.წ. მეცნიერის ნაშრომი არც გადაიშლება, იმდენად გაყალბებული და ტენდენციურია. არადა, ისტორიის დავიწყება ერის სახელმწიფოებრივი აზროვნების და შესაბამისად პასუხისმგებლობის განადგურებას იწვევს შედეგად. ეს უძველესი ფორმულაა, დრომ გამოცადა და საკამათო მასში აღარაფერია.

ახლა სულ მოკლედ ვიტყვი, რა მდგომარეობაში გვაქვს ქართველებს დღეს ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული მეხსიერება და ჩვენი მისდამი დამოკიდებულება. დღევანდელ საქართველოში ისტორიის გაყალბების, დაცინვის, ჩამორჩენილობად მონათვლის, დიდი მეცნიერების უარყოფის და ზედაპირულობის ნამდვილი ბუმია. ხოლო ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი და გადაყალბებული საქართველოს ისტორია ქცეულია საქართველოში მოქმედი კოლონიალური რეჟიმის ეფექტურ იარაღად ქართველების წინააღმდეგ. **რას აღარ წაიკითხავ და მოისმენ. როგორ ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ და ტენდენციურ სტატიას არ წააწყდები საჯაროდ უსირცხვილოდ გამოდებულს. ტელევიზიები ხომ ჩვენი ისტორიის დამალვით ან დაცინვით არიან დაკავებული. მოკლედ ისეთი ბაკქანალიაა ქართველი საზოგადოების ისტორიულ აზროვნებაში, რომ უკვე ხალხიც აყოლილია ამ სახიფათო ტენდენციას და თვითონ დაცინის ან ჩამორჩენილობად, მიიჩნევს ისტორიულ და მისგან გამომდინარე ჯანსაღ სახელმწიფოებრივ აზროვნებას. ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს კი საქართველოს ისტორიის გაგონებაც არ უნდა და სოროსული ვაიგანათლების სისტემაში უწიგნურებად ჩამოყალიბებულები სასაცილოდ იგდებენ ისტორიას და ყველაფერ ქართულს. ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა — „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“. არადა უკვე ძალიან ძნელი გახდა ამ სტატიის შინაარსის სიმართლე შეასმინო იმ საზოგადოებას ილიას ანდერძით, რომელმაც ილიაც კი აღარ იცის, ვინ არის, ან თუ იცის მოძველებული ჰგონია ილიას და მსგავსი მოღვაწეების ინტელექტუალური მემკვიდრეობა.**

საკუთარი ისტორიისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება კი სადამდეც მიგვიყვანს ქართველებს ამას აღარ დავწერ. აღარ მინდა, ვინმემ ისევ „პესიმისტური“ და „არაპოზიტიური“ განწყობის გამავრცელებლად მომნათლოს ასეთი საჭირო სიმართლის თქმისთვის. ასეთები კი უსვად გვყავს სამწუხაროდ საზოგადოებაში. მარად ზერელედ მოფიქრალნი და უსაზღვროდ „ბედნიერნი“...

კახა გოგოლაშვილი: თუ ამ ომში რუსეთმა გაიმარჯვა, მაშინ ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, რადგან ეს იქნება მესამე მსოფლიო ომის პროვოცირება!

(მეოთხე გვერდიდან) ამიტომ გამწარებულ მდგომარეობაში მყოფმა რუსეთის ხელისუფლებამ, შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება და ბირთვული იარაღი გამოიყენოს. ნატოს კი არ უნდა საქმე ისეთ ესკალაციამდე მივიდეს და ევროპაში ბირთვული ომი დაიწყოს. ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ამის გამო იკავებენ თავს, თუმცა უკრაინას ყველა სახის იარაღს აძლევენ. ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც ეტაპზე ნატო არ ჩაერთვება ომში.

— რა ფორმით ჩართვაზე საუბრობთ?

— ძნელი სათქმელია, რა ფორმით ჩაერთვება. ნატო დემოკრატიულ ქვეყნებს წარმოადგენდა, მისი მთავრობები მოსახლეობის აზრს ითვალისწინებენ. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ მოსახლეობაში არ გაჩნდეს აზრი, რომ ნატო რუსეთთან პირდაპირ ომში ჩაერთო. თუ ეს მოხდა, მაშინ შეიქმნება ასეთი სურათი — ნატოს ომი ნამდვილად არ უნდოდა, თავს იკავებდა, მაგრამ რუსეთმა სხვა გზა აღარ დაუტოვა და ამ ომში ჩართვა მოუწია.

— ამ ყველაფრის ფონზე ჯეიმს აპატურაის განცხადება მიანიშნებს იმას, რომ დღეს ნატოს კარი უკრაინისთვის ღია არაა?

— უკრაინისთვის და საქართველოსთვის ნატოს კარი ყოველთვის ღიაა. თუკი ამ ომში უკრაინა გაიმარჯვებს, მაშინ საქართველოსაც და უკრაინასაც ნატოში ერთდროულად მიიღებენ. იქამდე ამას აზრი არ აქვს, რადგან თუ უკრაინას ნატოში ახლა გააწევრებენ, ეს იმწუთას გამოიწვევს იმას, რომ ალიანსის წევრი ქვეყნები რუსეთთან ომში ჩაერთონ, ეს მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ისინი უკრაინას გამარჯვებაში ყველანაირად დაეხმარებიან, მაგრამ ომში არ ჩაერთვებიან. როდესაც რუსეთი დამარცხდება და იქ შეიცვლება ხელისუფლება, მაშინ საქართველოსაც და უკრაინასაც ნატოში სასწრაფოდ მიიღებენ.

— საქართველოს ნატოში გაწევრების ბედი მარტო რუსეთის დამარცხებაზეა დამოკიდებული? ასევე გამოდის, რომ თუ რუსეთი გაიმარჯვებს, ნატოს კარი სამუდამოდ დაიკეტება, თუ იქამდე ვიდრე პუტინი ხელისუფლებაში იქნება?

— დიახ, აუცილებლად. ამდენი ხანი სწორედ ამიტომ აჭიანურებდნენ, რომ რუსეთს ჩვენთან ომი არ დაეწყო. ანალოგიური სიტუაცია იყო უკრაინის მიმართაც, თუმცა აღმოჩნდა ისე, რომ რუსეთმა უკან არ დაიხია და ომი მაინც წამოიწყო. თუ ამ ომში რუსეთმა გაიმარჯვა, მაშინ ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, რადგან ეს იქნება მესამე მსოფლიო ომის პროვოცირება. დედამიწაზე სამუდამო არაფერი არსებობს. ვიდრე რუსეთი ძლიერი, აგრესიული და ევროპისთვის რისკების შემქმნელი იქნება, ნატო შეეცდება, რომ მისი პროვოცირება არ მოახდინოს. ამავე დროს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი რუსეთის აგრესიისგან საქართველოსაც და უკრაინასაც დაიცავს.

ქეთი გიორგაძე

ბირთვული ომის საფრთხე სერიოზული და რეალურია

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ ბირთვული ომის საფრთხე სერიოზული და რეალურია. ამის შესახებ მან რუსეთის პირველი არხის ეთერში განაცხადა. **„საფრთხე სერიოზულია, ის რეალურია და არ შეიძლება მისი არასათანადოდ შეფასება. მე არ ვისურვებდი, რომ ახლა, როდესაც რისკები მართლაც ძალზე არსებითია, ეს რისკები ხელოვნურად გაიზარდოს. ამის მსურველი კი ცოტა არ არის“,** — აღნიშნა ლავროვმა.

ამასთან, რუსეთის პირველმა დიპლომატმა იმედი გამოთქვა, რომ მესამე მსოფლიო ომი არ იქნება. ასეთი ომის დაწყებისკენ ნაბიჯად კი მან უკრაინაში დასავლური ქვეყნების ჯარების შესაძლო გაგზავნა დაასახელა.

„ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ მესამე მსოფლიო ომი. სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავთ ზელენსკისა და მისი გუნდის მუდმივ პროვოკაციებს, რომლებიც ითხოვენ ლამის ნატოს ჯარების შეყვანას უკრაინის ხელისუფლების დასაცავად. და ყველა ყოველთვის ამბობს, რომ ისინი მისცემენ შეიარაღებას, რაც, რა თქმა უნდა, ასევე ასხამს ცეცხლზე ნავთს. მათ სურთ ამ შეიარაღების მიწოდებით აიძულონ უკრაინელები, ეომონ რუსეთს ბოლო ჯარისკაცამდე, ოღონდ კი ეს კონფლიქტი უფრო დიდხანს გაგრძელდეს, ოღონდ კი, როგორც ისინი იმედოვნებენ, რუსეთი მისგან უფრო და უფრო დაზარალდეს“, — განაცხადა ლავროვმა.

ამასთან, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დასავლური ქვეყნები თითქოს მოსკოვსა და კიევს შეთანხმების საშუალებას არ აძლევენ.

„ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ არც აშშ და არც დიდი ბრიტანეთი არ ურჩევენ ზელენსკის, დააჩქაროს მოლაპარაკებები, არამედ ყოველ ჯერზე გაამკაცროს თავისი პოზიცია“, — განაცხადა ლავროვმა. მისი თქმით, უკრაინულმა მხარემ მარტის ბოლოს სტამბოლში გამოცხადებული საკუთარი პოზიციისგან უკან დაიხია. რუსი მინისტრის ცნობით, ამ მოლაპარაკებებზე ერთადერთხელ შეინიშნებოდა წინსვლა. ლავროვის მტკიცებით, უკრაინამ რუსეთს შეთავაზებების სია გადასცა, რომლის შეთანხმების საფუძვლად ასაღებად მზად იყო რუსეთი. თუმცა, მისივე თქმით, მოლაპარაკებების შემდეგ უკრაინის პოზიცია შეიცვალა. ამასთან მან განაცხადა, რომ საბოლოოდ მხარეები რამე შეთანხმებას ხელს მოაწერენ.

მოუნევს თუ არა საქართველოს რუსული გაზის საფასურის რუბლებში გადახდა?

რუსული გაზის საფასურის რუბლებში გადახდას სულ უფრო მეტი ქვეყანა თანხმდება. ასეთი მოცემულობა ჯერჯერობით საქართველოს წინაშე არ დამდგარა, მაგრამ სამომავლოდ გამორიცხული არაფერია. მით უფრო, რომ სომხეთმა უკვე თანხმობა განაცხადა, რომ ამიერიდან რუსული ბუნებრივი აირის საფასურს რუბლში გადაიხდის. გავრცელებული ინფორმაცია სომხეთის ეკონომიკის მინისტრმა ვაგან კერობიანმა უკვე დაადასტურა.

ამასთან, „გაზპრომის“ წარმომადგენელმა **სერგეი კუპრიანოვმაც** აღნიშნა, რომ ერევანთან დადებული ხელშეკრულება რამდენიმე წელია იძლევა საშუალებას გაზის საფასური რუბლით გადაიხადონ და ეს შესაძლებლობა სომხეთის მხრიდან გამოყენებულია. აღსანიშნავია, რომ რუსეთის პრეზიდენტის **ვლადიმერ პუტინის** ბრძანება ბუნებრივი აირის საფასურის რუსული ვალუტით სავალდებულო გადახდების შესახებ მხოლოდ „არამეგობრულ ქვეყნებს“ ეხებოდათ, რომლებსაც სომხეთი არ მიეკუთვნება. თუმცა რუსეთის პოზიციას ბევრი სხვა ქვეყანაც თანხმდება და მათ შორის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიც — უნგრეთი და სლოვაკეთი. აზიის ქვეყნები კი მოსკოვთან ურთიერთობას საკუთარი ვალუტების ანგარიშსწორებით აპირებენ და ამას გამოცხადებული სანქციები ვერაფერს დააკლებს. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყანა ბუნებრივი აირის უდიდეს ნაწილს აზერბაიჯანიდან იღებს, თუმცა უკანასკნელ წლებში რუსული გაზის შესყიდვამაც მოიმატა. თუკი 2020 წელს საქართველომ 37 მილიონი დოლარის რუსული გაზი შეიძინა და ეს იმპორტის 12% იყო, 2021 წელს რუსული გაზის შესყიდვები 70.8 მილიონ დოლარამდე, ანუ იმპორტის 22%-მდე გაიზარდა.

2022 წლის პირველ ორ თვეში საქართველომ 116 მილიონის ბუნებრივი აირი შეიძინა, საიდანაც 99 მილიონი დოლარი — აზერბაიჯანული, 17 მილიონი კი — რუსული იყო.

როგორ ახერხებს საქართველო სანქცირებულ ქვეყანასთან ანგარიშსწორებას?

როგორც ირკვევა, საქართველოს რუსული მხარისგან ჯერ არ მიუღია მოთხოვნა, რომ ბუნებრივი აირის შესყიდვის კონტრაქტის ვალუტად რუბლი დადასტურდეს. ჩვენი ქვეყანა რუსულ ბუნებრივ აირს ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენიდან იღებს. აღნიშნული მილსადენი წლიურად 2.2-2.3 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს ატარებს და ის სომხეთის გაზმომარაგების მთავარი არხია. ადრე გატარებული გაზის სანაცვლოდ საქართველო პირდაპირ გაზს იტოვებდა, მაგრამ ეს მოცემულობა ბოლო წლებში შეიცვალა. ახლა ტრანზიტისთვის რუსული მხარე ფულს იხდის და შემდეგ საჭირო ბუნებრივ აირს იმავე ქვეყნიდან საქართველო ყიდულობს.

ამასობაში ირკვევა, რომ რუსეთის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება „არამეგობრულ ქვეყნებთან“ გაზის საფასურის რუბლებში გადატანის შესახებ შესაძლოა, გაუქმდეს. ეს ინფორმაცია არ გამორიცხა პუტინის პრესმდივანმა **დიმიტრი პესკოვმა**. მან მიანიშნა, რომ შესაძლებელია, გაზის გადახდა დოლარსა და ევროში დაბრუნდეს, მაგრამ ახლა რუბლის გადახდა ყველაზე სანდო ვარიანტია. ასევე, კრემლის სპიკერმა თქვა, რომ რუბლებზე გადასვლა არ ნიშნავს იმას, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში მიწოდება დაუყოვნებლივ შეწყდება. გერმანიის მთავრობამ კი, რუსეთისგან გარანტიები მიიღო, რომ ევროპას რუსული გაზის მიწოდების სანაცვლოდ რუბლის გადახდა არ მოუწევს. ადგილობრივი პრესა გერმანიის კანცლერის ოფისზე დაყრდნობით იუწყება, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა **ოლაფ შოლცს** უთხრა, რომ ევროპულ კომპანიებს ევროთი გადახდის გაგრძელება შეუძლიათ. **გადახდის მეძანიზმი კი ასეთია: თანხა ჯერ „გაზპრომბანკში“ გადაირიცხება, შემდეგ კი რუსეთში — რუბლებში. „გაზპრომბანკი“, ამ დროისთვის, სანქცირებული არ არის.**

ეკა ბაძრაძე

გადავარჩინოთ ქართული ფუტკარი - მსოფლიო ფენომენი

მეფუტკრეობა სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგია. ეს პატარა მწერი უხსოვარი დროიდან განუყრელად უკავშირდება ჩვენი ხალხის ეკონომიკურ და კულტურულ საქმიანობას. ყველასთვის ცნობილია, რომ ქართული ფუტკარი მსოფლიოში გამორჩეულია **— გრძელი ხორთუმი, მაღალი ნექტარპროდუქტიულობა, შრომისმოყვარეობა, თვინიერება, ზომიერი ნაყრიანობა, ნექტრის მონახვის დიდი უნარი არახელსაყრელი ამინდის დროსაც** — სწორედ ეს ღირსებებია, რითაც იგი პირველობას იკავებს მსოფლიოს ყველა ფუტკარს შორის. სწორედ ამ ღირსებების გამო ქართული ფუტკარი სამი ოქროს მედლითაა დაჯილდოებული.

ბოლო წლებში დარგისადმი უყურადღებობამ, გართულებულმა ეკოლოგიურმა ვითარებამ, სხვადასხვა მავნებელ დაავადებათა გავრცელებამ, თაფლოვანი ფლორის განუკითხავმა მოსპობამ, ხელი შეუშალა ფუტკრის ოჯახების გამრავლებასა და მაღალპროდუქტიულობას. როდესაც დარგის დაბალშემოსავლიანობას ვაანალიზებთ, ვრწმუნდებით, რომ მეფუტკრეობის არარენტაბელობის მიზეზი უარყოფით ფაქტორთა მთელი რიგი კომპლექსებია, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა საკვები ბაზის სიმცირე და მისი არარაციონალურად გამოყენება. არ მიმდინარეობს ახალი თაფლოვანი მცენარეების ინტროდუქცია. ფუტკრის მთაბარობის წესების დაუცველობა, დაუდგენელი სამთაბარო ადგილების არასწორად გამოყენება, ან აუთვისებლობა, საკვები ადგილების გადატვირთვა.

გარემო ფაქტორთა გავლენამ უარყოფითად იმოქმედა ნექტრის გამოყოფაზე. ის მცენარეები, რომელთა ყვავილობის ხანგრძლივობა 20-25, 15-20, 10-15 დღე იყო, ახლა ყვავილობას აგრძელებს 15-10, 12-8, 5-8 დღე. ასეთი არახელსაყრელი კლიმატური პირობები თუ გაგრძელდა ფუტკრისთვის მასიური დახოცვის ერთ-ერთი ფაქტორი ესეც იქნება. იქმნება საშიშროება, რომ ქართული ფუტკარი თვალსა და ხელს შუა გამოგვეცალოს.

წლების განმავლობაში მეფუტკრეობის კვლევითი ინსტიტუტის საკვები ბაზის განყოფილების მიერ შეისწავლებოდა საქართველოს რაიონების თაფლის ბალანსი. არსებული ფუტკრის ოჯახების გათვალისწინებით ეს პროცესი შესაბამისად რეგულირდებოდა.

დღეისთვის ეს შესწავლილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ; საქართველოს თითოეულ მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლებად, ფუტკრის ოჯახების გათვალისწინებით, საკვები ბაზის დეფიციტია. ფუტკრის ოჯახების გადასარჩენად აუცილებელია არსებული საკვები ბაზის გაუმჯობესება, მაღალპროდუქტიული თაფლოვანი მცენარეების თესვა, თაფლოვანების ინტენსიური გაშენება ქარსაფარ ზოლებში, ეროზირებულ ფერდობებსა და გამოუყენებელ მიწებზე.

ჩვენი ვალია, გადავარჩინოთ ქართული ფუტკარი, შევუქმნათ საკვები ბაზით მდიდარი ადგილები. ამისთვის მეფუტკრეებმა, ფერმერებმა და მოყვარულებმა არ უნდა დაზოგონ დრო და ენერგია, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყონ თაფლოვანი მცენარეების მასობრივი რგვა და თესვა. საჭიროა განისაზღვროს თითოეულ მუნიციპალიტეტში ფუტკრის ოჯახების ოპტიმალური ზღვარი საკვები ბაზის გათვალისწინებით, რადგან ფუტკრის საკვებად შაქარწყლის გამოყენებამ ფუტკრის დახოცვა თუ არა, მისი გადაგვარება შეიძლება გამოიწვიოს.

ლიზა ბალიაშვილი,

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფუტკრის საკვები ბაზის სპეციალისტი.

სურათზე: თაფლოვანი მცენარეები, რომელთა მოშენებაც ხელს შეუწყობს მეფუტკრეობის განვითარებას.

საქართველო რუსეთის ფედერაციასთან ინარჩუნებს მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობებს!

საქართველოს ოფიციალურად აქვს პოზიცია დაფიქსირებული ამ თემასთან დაკავშირებით. კერძოდ: საქართველო ინარჩუნებს სავაჭრო ურთიერთობებს რუსეთთან, ანუ ხდება პროდუქტის იმპორტირება, ექსპორტირება, ეს არის ჩვენი გაცხადებული პოზიცია და ამაში არც კანონსაწინააღმდეგოა რამე და არც სხვა რაიმე პრინციპებთან მოვდივართ წინააღმდეგობაში.

რაც შეეხება იმპორტ-ექსპორტს, სავაჭრო ურთიერთობები ნარჩუნდება. მე შეგახსენებთ, რომ უკრაინაც ინარჩუნებს სავაჭრო ურთიერთობებს რუსეთთან.

კერძოდ, რუსეთიდან ხდება გაზის მიღება უკრაინაში, მათ შორის საკუთარი მოხმარებისთვის და შემდეგ ხდება ამ გაზის ტრანზიტით გადაცემა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. ანუ სავაჭრო ურთიერთობებში რუსეთთან უკრაინაც არის ჩართული, აქედან გამომდინარე, ის, რომ საქართველო ინარჩუნებს სავაჭრო ურთიერთობებს, ამაში არაფერია არც კანონსაწინააღმდეგო და არც ამორალური, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა უკრაინაც ინარჩუნებს ასეთი ტიპის ურთიერთობებს, — განაცხადა „ქართული ოცნების თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ**.

უკრაინაში მარცვლეულის წარმოება 20 პროცენტით შემცირდება

დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვა უკრაინაში ომის გამო მარცვლეულის მოსავლის 20%-ით შემცირებას პროგნოზირებს.

ბრიტანეთის დაზვერვის ცნობით, უკრაინაში მოსავლის შემცირება საფრთხეს უქმნის გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებას, განსაკუთრებით კი, ეკონომიკურად ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. უკრაინა მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიდიდით მეოთხე უმსხვილესი მწარმოებელი და ექსპორტიორია. მანამდე, უკრაინაში მარცვლეულის მოსავლის მოსალოდნელი 20%-იანი კლების შესახებ საუბარი იყო გაეროს ანგარიშში.

◎ ტატამზე

ველით მეღლებს

ევროპის ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტთაგანი – **ლაშა გუჯეჯიანის** გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრები სოფიაში წყალტუბოში მოწყობილი დასკვნითი შეკრებიდან ჩაფრინდა, სადაც უძლიერესი შემადგენლობით ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ემზადებოდა.

აღსანიშნავია, რომ 60 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიებში 2-2 მონაწილე გვეყოლება, მათ შორის უმჩატესში – დებიუტანტი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **ჯაბა პაპინაშვილი,** თუმცა უმნიშვნელოვანესი მოვლენა მაინც ტატამზე ოლიმპიადის ფინალისტის, ევროპის ჩემპიონისა და მუნდიალების სამგზის ვერცხლისმედალოსნის **ვარლამ ლიპარტელიანის** დაბრუნებაა.

რაც შეეხება ქალთა ტურნირს, იქ „ჯვაროსანთა“ სპორტულ ღირსებას **ეთერ ლიპარტელიანი** (57) და **სოფიო სომხიშვილი** (+75) დაიცავენ, რომლებიც ბულგარეთის დედაქალაქში უნგრულ ტატაში გამართული საწვრთნელი კემპიდან ჩავიდნენ.

საქართველოს ნაკრები

ლუხუმ ჩხვიმიანი, ჯაბა პაპინაშვილი (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ტატო გრიგალაშვილი (81), ლუკა მაისურაძე (90), ილია სულამანიძე, ვარლამ ლიპარტელიანი (100) და გურამ თუშიშვილი (+100).

ამასობაში, ტრადიციისამებრ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ტრიუმფით დასრულდა პოლონეთის ქალაქ პოზნანში გამართული თანატოლთა თასის გათამაშება, სადაც **ირაკლი ცირეკიძის** გაწვრთნილმა „ჯვაროსნებმა“ 13 მედალი მოიხვეჭეს (4, 3, 6).

სამშობლო ასახელეს: **„ოქრო“** – ალეკო კასრაძე (66), ალექსანდრე ლოლაძე (81), მიხეილ ჯაფარიძე (100), ირაკლი დემეტრაშვილი (+100); **„ვერცხლი“** – კოტე კაპანაძე (73), ალექსანდრე გულბანი (81), უჩა ტაბატაძე (100); **„ბრინჯაო“** – თორნიკე მაზიაშვილი (60), თორნიკე ფოლადაშვილი (90), აკაკი ჯაფარიძე (90), ერეკლე ბაზიერიშვილი (100), შალვა გურეშიძე (+100), გიორგი ტაბატაძე (+100).

სულ პოლონურ ტატამზე 17 ქვეყნის ნაკრებმა იჭიდავა და, ბუნებრივია, გუნდური ჩათვლა ჩვენებურებმა დიდი უპირატესობით მოიგეს. სააღდგომო უქმეებზე თურქეთში გამართულ პრესტიჟულ ტურნირზე პარაძიუდოისტმა **გიორგი ქალდანმაც** (73) ივაჟკაცა, რომელიც ანტალიის გრანდ სლემის გამარჯვებული გახდა.

◎ ვითომ?

თუ ომია, ომი იყოს...

ზაფხულში თბილისს 18-წლამდელ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ იგი ჩრდილოეთ მაკედონიაში გადაიტანეს.

ბუნებრივია, დავინტერესდით მიზეზით და გაირკვა, რომ ყველაფერი რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარების, უფრო კონკრეტულად კი რუსეთ-უკრაინის ომის ბრალი ყოფილა.

რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესი ფორუმის მოწაწილეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა გასათვალისწინებელი ფაქტორია, მაგრამ რა ვუყოთ 1 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქში დასაწყებ გაცილებით მაღალი რანგის სპორტულ ღონისძიებაზე – ევრობასკეტზე ჩამოსასვლელ სტუმრებს – ვითომ ისინი ნაკლებ მოფრთხილებას საჭიროებენ?

აღარაფერს ვამბობთ თვით უკრაინის საფეხბურთო ნაკრებზე, რომელიც მუნდიალის პლეი-ოფისთვის ემზადება. მოკლედ, საინტერესოა, მაინც სადაა ძაღლის თავი დამარხული?

◎ ლეგიონერი

ტიტულის ტოლფასი

უეფას თასის მფლობელ „ვალენსიას“ ჯილდოები არ აკლია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ორგზის ფინალისტობა მაინც სხვაა.

მართალია, ამ ფაქტებიდან, ანუ საუკუნის დასაწყი-

სიდან უკვე საკმაო დრო გავიდა, მაგრამ „ღამურები“ პრემერა-დივიზიონის ელიტურ კლუბად ისევ ითვლებიან და საამაყოა, რომ უნიჭიერესი 21 წლის ქართველი მეკარე **გიორგი მამარდაშვილი** საფუძვლიან პრეტენზიას აცხადებს პოპულარული გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრობაზე.

მეტიც – რამდენიმე დღის წინათ სამიოდე წუთი დააკლდა ლა ლიგაში „მშრალი სერიის“ რეკორდის დამყარებამდე, გასულ უქმეებზე კი პირველ ესპანურ ტიტულს გაეთამაშა, როცა სამეფო თასის ფინალში სევილიის „ბეტისთან“ პენალტების სერიაში დამარცხდა – 4:5 (ძირითადი და დამატებითი დრო – 1:1). აღსანიშნავია, რომ შეხვედრას ანდალუზიის დედაქალაქის მეორე კლუბის – სევილიას“ „რამონ სანჩეს პისხუანის“ სტადიონმა უმასპინძლა, მაგრამ ხოსე ბორდალასის შეგირდებს სტუმრებისა არაფერი ეტყობოდათ და დასანანია, ჩვენი თანამემამულე ამჯერად უტიტულოდ და ევროტურნირის საგზურის გარეშე რომ დარჩა, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, წარმატებები აუცილებლად მოვა.

◎ ყინულზე

მასპინძლის კომპლექსი

კოვიდპანდემიით გამოწვეული ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დივიზიონის „ბ“ ჯგუფის შეხვედრებს რეიკიავიკმა უმასპინძლა, სადაც უმაღლეს ეშელონში დასაწინაურებლად გამოყოფილი ერთადერთი საგზურისთვის ისლანდიის, ბელგიის, ბულგარეთისა და მექსიკის გუნდებთან ერთად როლანდ სვანიძის გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრებიც იბრძოდა ასეთი შემადგენლობით: ფოფანოვი, ილიენკო, კურბატოვი, ცომაია, კარელინი, ხაჩიძე, რომანოვი, პოტაჟევიჩი, კირეევი, ბუკია, ბელომოინი, ვასილჩენკო, ძიოვი, დუმბაძე, ჟუჟუნაშვილი, კოზიულინი, ობოლგოგიანი, კოჩკინი, შვეცოვი და ხარიზოვი.

რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის მეექვსე წევრს – ახალ ზელანდიას, იგი კოვიდრეგულაციების გამო ევროპაში არ ჩამოვიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობის ბედი გეიზერების ქვეყნის ქვეშევრდომთა და „ჯვაროსანთა“ მატჩში გადაწყდა, რომელიც ისლანდიელებმა 5:2 მოიგეს.

ჩვენმა გუნდმა დანარჩენ შეხვედრებში გაიმარჯვა და საბოლოოდ საპატიო მეორე ადგილი დაიკავა: ბელგიასთან – 4:3, ბულგარეთთან – 10:3 და მექსიკასთან – 5:0.

◎ რინგზე

მუშტები სოფიაში

ბულგარეთის დედაქალაქში გამართულ 18-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს დელეგაცია (მწვრთნელები – შალვა დუნდუა და გოჩა რუსია, ექიმი – დავით შამათავა) 13 წევრით იყო წარმოდგენილი და მათგან ნახევარი სამშობლოში პრიზიორის სტატუსით დაბრუნდა – 2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“ და 3 „ბრინჯაო“.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შეაბიჯეს **გორ აივაზიანმა** (51) და **დემურ ქაჯაიამ** (63,5). პარტნიორ ვაჟებს შესანიშნავად აუბა მხარი **თათია ბუკიამ** (75), რომელმაც მხოლოდ ფინალური ბრძოლა დათმო და მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო **თამარ სამელიამ** (48), **გოჩა გორდულავამ** (60) და **საბა კვინიკაძემ** (75) მკერდი ბრინჯაოს ჯილდოებით დაიმშვენეს.

◎ ოვალური ბურთი

ზოგი ჭირი...

კაცმა არ იცის, მძიმე ტრავმა რომ არა, როგორ დაოსტატდებოდა ნიკა ამაშუკელი, მაგრამ 26 წლის მსაჯის სახით რაგბიმ რომ პროფესიონალი ახალგაზრდა შეიძინა, ფაქტია.

ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ გაზაფხულის განვლილ პერიოდში იგი ევროპული კლუბების შეხვედრებზე იყო მივლინებული და მისიას ისე კარგად გართვა თავი, რომ უკვე გაერთიანებული რაგბი ჩემპიონშიფის მატჩებზე მიიწვიეს, სადაც მასპინძელ სამხრეთ აფრიკის ფრანჩაიზებთან ერთად ირლანდიური, უელსური, შოტლანდიური და იტალიური გუნდებ ითამაშობენ.

რაც შეეხება მომავალი ბრძოლების აფიშას, ჩვენი თანამემამულე შავ კონტინენტზე ჯერ დურბანის „ნატალ შარქსისა“ და ირლანდიური „ლენსტერის“ ჯახს გაუძღვება, ხოლო შემდეგ პრეტორიის „ბლუ ბულზისა“ და შოტლანდიური „გლაზგო ვორიორზის“ შერკინებას მოემსახურება.

მოკლედ

წყალბურთი.

19-წლამდელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. თბილისი. „ბ“ ჯგუფი. მომავალი ფორუმის საგზურებს საქართველოსა და თურქეთის ნაკრებები დაეუფლნენ, რომლებმაც უკრაინისა და ლიეტუვას გუნდები ჩამოიტოვეს. ფინალურ რაუნდს სექტემბერში მონტენეგროს დედაქალაქი პოდგორიცა უმასპინძლებს.

კალათბურთი.

აშშ-ის სტუდენტური ლიგის ცნობილი კოლეჯის – ჯორჯია ტექ-ის გუნდის 21 წლის ქართველი ცენტრალური თავდამსხმელი **საბა გიგიბერია** (216 სმ) სატრანსფერო პორტალზე დადგა და ახალი სეზონისთვის კლუბს გამოიცვლის.

სავარაუდოდ, იგი „ილინოისში“ გადავა, სადაც 2018-2021 წლებში **გიორგი ბეჟანიშვილი** თამაშობდა.

რაც შეეხება ატლანტიდან წასვლის მიზეზს, ესაა მწვრთნელთა მიერ ჩვენი თანამემამულისთვის თავის გამოსაჩენად გამოყოფილი შეზღუდული დრო – სულ

რაღაც 24 შეხვედრა და 150 წუთი (საშუალო შედეგიანობა 2,5 ქულა და 2,3 მოხსნა).

ფორმულა - 1.

იტალიის ეტაპის „ემილია – რომანიას გრან პრი“ პრიზიორთა ტრიო. მაქს ფერსტაპენი (ნიდერლანდები, რედ ბული), სერხიო პერესი (მექსიკა, რედ ბული), ლანდო ნორისი (ბრიტანეთი, მაკლარენი).

საერთო ჩათვლა: შარლ ლეკლერი (მონაკო, ფერარი), – 86 ქულა, მაქს ფერსტაპენი – 59 ქულა, სერხიო პერესი – 54 ქულა. **კონსტრუქტორთა თასი.** ფერარი – 124 ქულა, რედ ბული – 113 ქულა, მერსედესი – 77 ქულა. ამერიკის დიდ პრიზს 8 მაისს მაიამი უმასპინძლებს.

ფეხბურთი.

„კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა. სატურნირო მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ: „ბათუმი“ – 22, „დილა“ – 19, „საბურთალო“, „დინამო“ – 15-15, „სამგურალი“, „გაგრა“, „ტორპედო“ – 11-11, „თელავი – 10, „სიონი“ – 9, „ლოკომოტივი“ – 0 ქულა.

ბომბარდირი: ფლამარიონი („ბათუმი“) – 9 გოლი.

ნოდარ მეძმარიაშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მშენებელი, სამშენებლო საქმის დიდი პროფესიონალი, უღალატო მეგობარი, განათლებული მამულიშვილი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ღირსების ორდენისა და ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი ნოდარ მეძმარიაშვილი.

ნოდარ მეძმარიაშვილი დაიბადა 1929 წლის 13 მარტს იმერეთის ლამაზ კუთხეში სამტრედიაში. საშუალო სკოლა სიბევჯითეში განვლო. სკოლის დამთავრების შემდეგ 1945 წელს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. საინჟინრო განათლების ამ დიდ ტაძარში ეზიარა იგი ინჟინერ-მშენებლის ურთულეს და ქვეყნისათვის მეტად საჭირო დარგს. 1951 წელს უმაღლესი სასწავლებელი შახტმშენებლობის სპეციალობით დაამთავრა და როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, კათედრაზე დატოვეს ასისტენტის თანამდებობაზე სამუშაოდ. ეს მისი პირველი სერიოზული გამარჯვება იყო. თუმცა კათედრაზე მუშაობას შახტების მშენებლობაზე პრაქტიკული მოღვაწეობა ამჯობინა და 1951 წელს შრომითი საქმიანობა დონბასში შახტის მშენებლობაზე დაიწყო, სადაც 1959 წლამდე გაიარა პროფესიონალური გზა სამთო ოსტატიდან შახტსამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინრის თანამდებობამდე.

1959 წელს ნ. მეძმარიაშვილი გადაიყვანეს დონეცკის ოლქის სამოქალაქო მშენებლობის სფეროში — საოლქო სამშენებლო გაერთიანების, „დონეცკბინათმშენის“ მთავარ ინჟინრად, ხოლო 1966 წელს დაინიშნა გაერთიანება „დონეცკბინათმშენის“ უფროსად. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა მთელი ოლქის საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და სამოქალაქო მშენებლობის სფეროს.

1973 წელს უკვე გამოცდილი მშენებელი მშობლიურ საქართველოში გადმოიყვანეს, სადაც 1981 წლამდე ნაყოფიერად იმუშავა მშენებლობის მინისტრად. ხოლო 1981-82 წლებში იგი მუშაობდა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

შემდგომ 1985 წელს იგი დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად სსრკ მინისტრთა საბჭოსთან მოსკოვში, ამ თანამდებობაზე მოღვაწეობისას კოლოსალურ სამუშაოს წარმართავდა საქართველოს პრობლემების დადებითად გადასაწყვეტად. ეს წლები ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის XX საუკუნის დამამთავრებელი ბობოქარი წლები იყო, რაც ისეთი თანამდებობის პიროვნებისათვის, როგორიც ნ. მეძმარიაშვილი გახლდათ, მისგან დიდ გამოცდილებასა და რკინისებურ ნებისყოფას მოითხოვდა.

1991 წელს ნ. მეძმარიაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დაინიშნა სსრკ მინისტრთა კაბინეტთან არსებული საქართველოს მთავრობის მუდმივ წარმომადგენლად, რომელიც გარდაიქმნა საქართველოს საელჩოდ რუსეთში და ის გახდა დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში. ჭეშმარიტად ნიჭიერი და პრაქტიკული ადამიანის სიბრძნე გამოავლინა ამ წლებში ნოდარ მეძმარიაშვილმა, როგორც დიპლომატმა.

1991-1994 წ.წ. მუშაობდა საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრის მოადგილედ; იყო საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური მრჩეველი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვისა და მათი ათვისების საკითხებში.

ბატონი ნოდარ მეძმარიაშვილის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია 1992 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის დამფუძნებელთა ჯგუფში მონაწილეობა. იგი განსაკუთრებული აქტივობით მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვანი საინჟინრო სამეცნიერო საზოგადოების დაფუძნების პროცესში, როგორც აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და სამშენებლო განყოფილების პირველი აკადემიკოს-მდივანი.

ბატონი ნოდარი ღირსეულად ატარებდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის — აკადემიკოსის მაღალ წოდებას.

ნოდარ მეძმარიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის სპორტის, კერძოდ ჩოგბურთის განვითარებაში. სხვადასხვა წლებში იგი იყო დონბასის ოლქის ჩოგბურთის ფედერაციის პირველი თავმჯდომარე, არჩეული იყო საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ. მისი ხელმძღვანელობით აშენდა დონბასსა და საქართველოში ჩოგბურთის კომპლექსური ახალი ბაზები: პირველი დახურული კორტები თბილისში, საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის სავარჯიშო ბაზა ქ. თელავში.

ბატონ ნოდარს მრავალი სამთავრობო ჯილდო და წოდება აქვს მიღებული.

ბატონი ნოდარი მოწოდებით აღმშენებელი ადამიანი იყო. წარმოუდგენლად ბევრია ნოდარ მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით აშენებული ობიექტები.

ბატონმა ნოდარმა მშენებლის რთული პროფესიის გარდა შეძლო საზოგადოების წინაშე წარმდგარიყო ლიტერატურის, მუსიკის, ისტორიის, თეატრისა და სხვათა სიყვარულით, როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება.

ბატონმა ნოდარმა სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა ერთგული მამულიშვილის და მართალი კაცის მაღალი ღირსებები. მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ადამიანს იმაზე უფრო დიდი მიზანი არა აქვს, ვიდრე თავდადებით, კეთილსინდისიერებით ემსახუროს საკუთარ ქვეყანას და მის ხალხს.

ბატონი ნოდარი უაღრესად კაცთმოყვარე პიროვნება იყო. საკმარისია მისი მოგონებების წაკითხვა, რომ დარწმუნდე რაოდენ მასშტაბურია მისი კაცთმოყვარეობის სივრცე. ქართულმა სიდარბაისლემ, სულიერმა სისპეტაკემ, ადამიანურმა სიბრძნემ, ხელმძღვანელობის იშვიათმა უნარმა, ფენომენალურმა მეხსიერებამ, გულწრფელმა თავმდაბლობამ და საქმისადმი ერთგულებამ ბატონ ნოდარს საზოგადოებაში ჭეშმარიტი პატივისცემა და სიყვარული მოუპოვა.

ბატონი ნოდარის მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ის მუდამ ზრუნავდა ახალგაზრდა, მცოდნე და განათლებული სპეციალისტების აღზრდაზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოს ნოდარ მეძმარიაშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედკოლეგიის წევრი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და მშენებელი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი

ნოდარ აკაკის ძე მეძმარიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა ნადირაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, დავით გურგენიძე, დავით დოლონაძე, ანზორ ჩოგოვაძე, როლანდ მიძაუტაძე, გიორგი ავსაჯანიშვილი, ომარბეი ძიაპშიპა, გიორგი სალუძვაძე

უცრემლოდ ვერ შევძელი გამოსათხოვრის წერა...

დამწუხრდა და დაღონდა საქართველოს მშენებელთა დიდი ოჯახი. გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, მშენებელთა პატრიარქი, მშენებელთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი, სამშენებლო საქმის უდიდესი ორგანიზატორი, ამ რთული დარგის ჭეშმარიტი პროფესიონალი, წლების მანძილზე საქართველოს მშენებლობის ყოფილი მინისტრი ნოდარ აკაკის ძე მეძმარიაშვილი. მან ცხოვრების რთული, დაძაბული, მაგრამ უაღრესად საინტერესო და წარმატებული გზა განვლო და სათაყვანებელ სამშობლოს და ქართველ ხალხს ბოლომდე უერთგულა.

ჩვენ წლების განმავლობაში გამორჩეული საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებდა, რომელიც თანდათან მეგობრობასა და ნათელმირონობაშიც კი გადაიზარდა.

ბატონი ნოდარი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა მრავალმხრივი ნიჭიერებით, პრინციპულობით, შეუპოვრობით, კეთილგონიერებით, კეთილსინდისიერებით, გასაოცარი თანადგომის უნარით. ის ზნეკეთილი და გულისხმიერი, საოცრად ვაჟკაცური, სანდომიანი პიროვნება იყო.

ბატონ ნოდარზე ბევრი მაქვს მოსაგონარი, მასზე ბევრი კარგის თქმა და გახსენება შემიძლია. ის დიდი და ღირსეული პიროვნება იყო, ასეთ დიდ პიროვნებასთან ახლო ურთიერთობა და მით უმეტეს მეგობრობა უფლის წყალობაა. ის ასაკით ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ჩვენს ურთიერთობას. ჩვენმა მეგობრობამ ათეულ წლებს გაუძლო.

ნოდარმა უკრაინაში 22 წელი დიდი წარმატებით იღვაწა. ის ერთადერთი ქართველი იყო უკრაინაში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატად რომ აირჩიეს. ის მტკივნეულად განიცდიდა უკრაინაში მიმდინარე უმძიმეს, დამანგრეველ ომს და უდიდეს შემაძრწუნებელ მსხვერპლს. ნოდარი ბუნებით ხომ აღმშენებელი იყო და ეს უბედურება მასზე დამთრგუნველად მოქმედებდა...

უკრაინის შემდეგ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს მშენებლობის მინისტრის და საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობებზე. ის კოლეგებსა და წინამორბედებს შორის გამორჩული იყო განათლებით, გამოცდილებით, ერუდიციით და ინტელექტით. მან უმთავრესი პროგრესული რეფორმა დანერგა მშენებლობის წარმოებაში, ორგანიზაციაში, ეკონომიკაში და საკადრო პოლიტიკაში.

ბატონი ნოდარი გახლდათ შორსმჭვრეტელი და საღად მოაზროვნე დიპლომატი, ჯერ საბჭოთა საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი საკავშირო მთავრობაში — მოსკოვში, შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში.

მას მთელი ცხოვრების მანძილზე გვერდს უმშვენებდა ერთგული მეუღლე, უაღრესად განსწავლული, ინტელექტუალი, რამდენიმე წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, ქალბატონი გალინა ონიშჩენკო.

მათ აღზარდეს ორი შესანიშნავი ვაჟი, გიორგი და ალექსანდრე, არაჩვეულებრივი შვილიშვილები და შვილთაშვილები.

ბატონმა ნოდარმა 90 წლის ასაკში დაწერა შესანიშნავი წიგნი „ოქროს აკვანი მოწამეთაში“. ხანდაზმულმა შეინარჩუნა ბრწყინვალე, გასაოცარი მეხსიერება. მე მას შევადარებ დიდ გოეთეს, რომელმაც ხანდაზმულ ასაკში შექმნა „ფაუსტი“ და ეს სრულებითაც არ იქნება ხმამაღალი და დაუმსახურებელი განაცხადი. — მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, ყოველთვის ხალისიანი, აქტიური, თბილი და მოსიყვარულე (მომფერებელი) იყო. ნოდარი თხემით ტერფამდე ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი გახლდათ.

ჩემო ნოდარ, შენ ვალმოხდილი მიდიხარ შენი საფიცარი სამშობლოდან, ზეციურ საქართველოში, სადაც შენი სათაყვანებელი გალინა იგნატიევნა გიმასპინძლებს, მოგეფერება...

უცრემლოდ ვერ შევძელი შენთან გამოსათხოვარი წერილის დაწერა.

შენი უაღრესად კარგი კაცობა და ადამიანური სითბო თაობებს ემახსოვრებათ.

შენი წასვლით დასრულდა დიდი ეპოქა!

გემშვიდობები, ბატონო ნოდარ!

ომარ მარგველაშვილი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

თვალსაჩინო მშენებელი

ნოდარ მეძმარიაშვილი

ნოდარ მეძმარიაშვილის ცხოვრების მთელი პერიოდი აქტიური შემოქმედებითი წლებისგან შედგებოდა. დაიბადა შუაგულ იმერეთში 1929 წელს. დაამთავრა საშუალო სკოლა მედალზე, ხოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტი შახტმშენებლის სპეციალობით — წარჩინებით. ინსტიტუტის რექტორმა გაითვალისწინა მისი პოტენციალი და დატოვა კათედრაზე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მომავალი თაობის აღსაზრდელად. თუმცა მან საბოლოოდ, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანზე მუშაობა აირჩია, რადგანაც ქ. დონეცკში სადიპლომო პრაქტიკის დროს კარგად გაითვითცნობიერა მის ენერგიულობასა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის კავშირი, რის გამოც მან 1951 წელს ქ. დონეცკში რიგით მუშად დაიწყო მუშაობა შახტში. სხვადასხვა დროს 1951-1959 წლებში იგი ტრესტ „დონეცკ შახტმშენებლის“ სამმართველოს მთავარი ინჟინერი, სამმართველოს უფროსი, ტრესტის მთავარი ინჟინერი იყო. 1959 წელს დაწინაურებული იქნა დონეცკის სამშენებლო სამრეწველო გაერთიანება „დონეცკბინათმშენებლის“ მთავარ ინჟინრად, მის უფროსად, ხოლო შემდგომ დონეცკის ოლქის სამშენებლო-სამრეწველო გაერთიანების უფროსად, სადაც მან იმუშავა 1973 წლამდე. მან თავი გამოიჩინა, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალმა მშენებელმა და ორგანიზატორმა, რისთვისაც სახელოვანი მშენებელი ბატონი ნოდარ მეძმარიაშვილი სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო უკრაინის მთავრობისა და შესაბამისი ყოფილი საკავშირო სამინისტროს სამი უმაღლესი რანგის ორდენითა და რამდენიმე მედლით, მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.



1973 წლიდან იწყება მისი მოღვაწეობის ახალი ეტაპი. იგი ინიშნება საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო შემდგომ სულ რამდენიმე თვეში მინისტრად, სადაც იმუშავა 1981 წლამდე. სამშენებელო კომპლექსში მან ჩამოაყალიბა მართვის ახალი სისტემა. კომპლექსის მართვის ყველა დონეზე ამაღლებული იქნა თითოეული პერსონალის პასუხისმგებლობის დონე, გაძლიერდა სამშენებლო დისციპლინა, დიდი ყურადღება დაეთმო სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას, მართვის საქმეში ჩაერთო ელექტრონული მანქანები, გენმოიჯარეთა პასუხისმგებლობა... ერთი სიტყვით, მშენებლობის სისტემა დაუქვემდებარა ორკესტრირებულ მართვას.

საქართველოს მთავრობას არ გამორჩენია უყურადღებოდ ბატონი ნოდარის დამსახურება ქვეყნის სამშენებლო პოტენციალის განვითარების საქმეში, რისთვისაც იგი სხვადასხვა დროს აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა, საქართველოს დამსახურებული ინჟინრისა და მშენებლის საპატიო წოდებები.

1981-1982 წლებში ბატონი ნოდარი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, სადაც ისეთივე შემართებით იმოღვაწა, როგორც მას სჩვეოდა მანამდე.

1982-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად ყოფილი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში. იგი ჩვეული შემართებით ორგანიზებას უკეთებდა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელების შეხვედრებს ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი რანგის სამთავრობო წარმომადგენლობასთან და ამას აკეთებდა უნაკლოდ.

1991 წელს ბატონი ნოდარი ისევ უბრუნდება სამშენებლო კომპლექსს და 1995 წლამდე იმუშავა საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილედ.

ბატონი ნოდარი სამშენებლო სფეროს გარდა აქტიურად მოღვაწეობდა სპორტში. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, მის სახელთან გარკვეულწილად იყო დაკავშირებული ქუთაისის რაგბის გუნდ „აიას“ სპორტული მიღწევები.

ბატონი ნოდარი ასევე აქტიური მოღვაწე იყო სამშენებლო სფეროს აკადემიურ საქმიანობაში. იგი იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, საქართველოს მშენებელთა ფედერაციის საპატიო წევრი.

ბატონი ნოდარი იყო ოჯახური ყოფაცხოვრების სამაგალითო წარმომადგენელი.

აი, ასეთი ღირსეული ადამიანი დააკლდა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას, საქართველოს მშენებელთა რიგებს, ოჯახს და სამეგობროს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს. უფალმა დაუმკვიდროს მას მარადიული სასუფეველი.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია,
სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“,

მეგობრებისა და კოლეგების სახელით:
მერაბ ნიკოლაიშვილი, ილია ქევხიშვლი, თეიმურაზ ჯანაშია, ბორის სალარიძე, ომარ კიკნაძე, ნოდარ თოფურიძე, მალხაზ ბუდიაშვილი, თამაზ შილაკაძე, იუზა თოფურია, ვაჟა ნადირაშვილი, გიორგი ბერაძე, დავით დოლონაძე, ომარ ჩოგოვაძე, გუგა ჭოხონელიძე.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის ნამდვილი წევრის, გამორჩეული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, დიდი ერისკაცისა და ღირსეული პიროვნების, საქართველოს მშენებლობის ყოფილი მინისტრის, საგეგმო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, რუსეთში პირველი საქართველოს ელჩის, სხვადასხვა სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღირსეული თავკაცის, დიდი ერუდიციისა და მაღალი პროფესიონალიზმით აღსავსე უკეთილშობილესი პიროვნების

ნოდარ მეძმარიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

უდიდესი გულისტკივილით, აკადემიის სახელით, აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, თბილისის საპატიო მოქალაქე **თეიმურაზ ბაბუნაშვილი**

შვილები ნუკრი და ზურაბ მიხანაშვილები, რძლები ქეთევან პაპიძე და თეა წიკლაური, შვილიშვილები და შვილთაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ 94 წლისა გარდაიცვალა

ციალა გიორგის ასული მჭედლიშვილი-მიხანაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის ასოცირებული პროფესორი, არაერთი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი.

პანაშვიდი 27, IV, 17 სთ. სოფელი დიღომი, მ. მესხის ქ. 9. გამოსვენება 28 IV, 14 სთ. წმინდა მიქაელისა და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესიიდან, დიღმის მასივი, მაიაკოვსკის ძეგლის უკან, სკვერში.

ჭეშმარიტი მამულიშვილი

ნოდარ ფაღავას გახსენება



წელს, პანდემიის მძვინვარების უმძიმეს დღეებში ქართულმა საზოგადოებამ დაკარგა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება **ნოდარ ფაღავა.**

მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული ნოდარ ფაღავა დაიბადა 1945 წელს ბათუმში, ცნობილი იურისტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იუსუფ ფაღავას ოჯახში. საშუალო სკოლისა და სამუსიკო სასწავლებლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საფორტეპიანო განხრით. შრომითი საქმიანობა დაიწყო 18 წლის ასაკში. 1963 წელს დაინიშნა ხულოს სამუსიკო სკოლის დირექტორად. 1964-1966 წლებში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. 1967-1968 წლებში მუშაობდა პედაგოგად რუსთავის სამუსიკო სკოლაში და თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახ. თეატრში ორკესტრის მსახიობ-პიანისტად. 1968-1970 წ.წ. იყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ჯგუფ „ენგურის“ წამყვანი მსახიობი. 1970-1974 წლებში მიწვეული იყო პეტერბურგის „მიუზიკ-ჰოლის“ მსახიობად, მომღერლად, ხოლო შემდეგ კრასნოიარსკის ფილარმონიის კონცერტმაისტერად და ორკესტრის დირიჟორის თანაშემწედ. 1975 წელს აჭარის სახ.ფილარმონიაში ნოდარ ფაღავამ ჩამოაყალიბა ანსამბლი „რივიერა“ (შემდგომში „ინტერვალი“), რომელმაც აღიარება პოვა არაერთ საერთაშორისო კონკურსსა და ფესტივალზე.

1989-1991 წლებში ნოდარ ფაღავა წარმატებით ხელმძღვანელობდა აჭარის ფილარმონიას, 1991-1995 წლებში იყო აჭარის ა/რ-ის კულტურის მინისტრი, 1995-1999 — საქართველოს პარლამენტის წევრი, 2001-2002 — აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მისი დამსახურება აღინიშნა ჯილდოებით. ნ. ფაღავა, როგორც ჟიურის წევრი, მონაწილეობდა სახელმწიფო სიმბოლოების (ჰიმნი, დროშა, გერბი) დადგენაში. 1998-2004 წლებში იყო ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი.

პროფესორ ნოდარ ფაღავას მუსიკალური ნაწარმოებები შესრულდა სიმფონიური ორკესტრების, კაპელას და სოლისტების მიერ. ნოდარ ფაღავას ლიტერატურული ნაწარმოებები — ლექსები, ნოველები და ფელეტონები იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში. 2014 წელს მან თავისი ვაჟის ირაკლის თანაავტორობით გამოსცა რომანი „როცა წვიმა იღიმება“.

ერთ-ერთ ლექსში ნოდარ ფაღავამ ასე ალალად გამოხატა სამშობლოს სიყვარული:

„მე მიყვარს ჩემი ქვეყანა მთვარიან-ვარსკვლავიანი,
მინდვრები ცვარ-ნამიანი, მდინარიანი, ზღვიანი,
საღამოს გრილი სურნელი, დილა ნათელი,მზიანი,
გამწვანებული ბარი და გადაგრეხილი მთიანი.
სოფელი მიყვარს ქართული, უხვი და ბარაქიანი,
დაღლილი გლეხის დიმილი, თვალები იმედიანი,
მამა-პაპათა საძვალე, ბილიკი ნატერფლიანი,
არდავიწყება წარსულის, მოყვრიანი და მტრიანი.
ვაჟკაცი მიყვარს ქართველი, ლაღი და სახემზიანი,
ალგეთს დაზრდილი ლეკვები, გაშლილი მხარბეჭიანი.
მიყვარს ქართველი ქალები, ცქრიალა და ეშხიანი,
ნატიფი მიხვრა-მოხვრა და ჭრელი კაბების შრიალი,
ქართული მიყვარს მოლხენა, სიმღერა მრავალხმიანი,
კახური ღვინით ქეიფი, თამადა ენაწყლიანი.
მაგრამ რა ვქნა,არ მასვენებს ფიქრები ტკივილიანი,
რად მეკარგება სამშობლო თბილი და ალერსიანი.
ასე მოვდივარ, თან მომაქვს ცხოვრება მრავალწლიანი,
ჩემში ჯერ არის ქართველი, მერე ვარ ადამიანი.
ცალკე მე ერთი კაცი ვარ, ერთად ერი ვართ მთლიანი,
დროზე მიეხედოთ ქვეყანას, ხვალ იქნებ იყოს გვიანი“.

გამორჩეული პიროვნული ხიბლით, ავკარგიანობით, ჭეშმარიტი მამულიშვილობით, სიდარბაისლით, კეთილშობილებით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, ერთგულებით გამორჩეულ ნოდარ ფაღავას ყოველთვის დიდი სიყვარულით გავიხსენებთ მისი მეგობრები.

რომან მახარაძე, გელოდი კოგალაძე, კოკი კეკელიძე, გია ავალიშვილი, ნოდარ ემუხვარი, ზაურ ფხალაძე, ალეკო ციბაძე, დათო ვერძაძე, თენგიზ ხახვა, ჯუმბერ ბერაძე, ავთანდილ გურული, ზურაბ ინაიშვილი, ვალერი ასათიანი, ვლადიმერ ფანგანი, პაატა ცისკარიშვილი, ზურაბ ჯაფარიძე.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲛ“ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲒᲕᲘᲫᲚᲕᲜᲐ!

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ ᲐᲠ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲬᲘᲚᲙᲜᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲮᲐᲢᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲣᲚ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚ ᲪᲔᲪᲚᲖᲔ ᲗᲐᲕᲛᲝᲛᲬᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ.

ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲚᲣᲙᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲮᲐᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ, ᲛᲔᲤᲔ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲘᲡ — ᲑᲐᲥᲐᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲐᲑᲠᲫᲐᲜᲔᲡ. ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲑᲐᲥᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲘᲚᲙᲐᲜᲨᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲐᲑᲓᲔᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲪ.

ᲬᲘᲚᲙᲜᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲣᲚᲘ ᲮᲐᲢᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲝᲓᲘᲒᲘᲢᲠᲘᲘᲡ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲒᲣᲠᲐ.

ᲝᲓᲘᲒᲘᲢᲠᲘᲐ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲡ, ᲒᲖᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲘᲙᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲧᲠᲛᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲗ — ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ. ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲑᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ, ᲗᲝᲚᲝ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐᲨᲘ ᲒᲠᲐᲒᲜᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ. ᲮᲐᲢᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ — ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ ᲘᲔᲡᲝᲡ ᲛᲔᲣᲦᲔᲑᲐᲖᲔ.

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ-ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲥᲜᲐ.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲡ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲓᲐᲜ“ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!
ᲒᲖᲐᲠᲐᲕᲓᲔᲗ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲡ ᲔᲬᲕᲘᲕᲜᲔᲜ

23-24 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲔᲬᲕᲘᲕᲜᲔᲜ. ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲙᲐᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐᲗᲐᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲙᲐᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲘᲥ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚ „ᲨᲕᲘᲓᲙᲐᲪᲐᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ.

23 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲔᲬᲘᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲬᲝᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲙᲝᲕᲘᲓᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲰᲛᲔᲚᲔᲗᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ. 23 ᲐᲪᲠᲘᲚᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲬᲘᲠᲕᲐᲡ ᲙᲐᲮᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲜᲔᲜ.

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲥᲣᲩᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲘᲐᲜ

ᲙᲘᲔᲕᲨᲘ **ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲔᲜ ᲥᲣᲩᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲗᲐᲜ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲐᲘᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲙᲐᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲘᲥ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.**

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ 300-ᲛᲓᲔᲐ, ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲘ — 60. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲡᲙᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐᲡ“ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝᲛᲗ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ.

„ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲕᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ. ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 279 ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲔᲢᲘ ᲘᲧᲝᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝᲛ. ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲝᲠᲘ ᲛᲣᲨᲘᲡ ᲡᲙᲣᲚᲞᲢᲣᲠᲐᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲗᲐᲚᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲪ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ.

„ᲑᲐᲠᲑᲘ“ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Mattel-ᲛᲐ ᲗᲝᲕᲯᲘᲜᲐ ᲑᲐᲠᲑᲘ Queen-ᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲐ ᲬᲐᲠᲐᲓ�გᲘᲜᲐ. ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲗᲝᲕᲯᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ, ᲢᲐᲮᲢᲖᲔ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲯᲔᲓ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ „ᲞᲚᲐᲢᲘᲜᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲘ“ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ.

ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲯᲔᲓ ᲛᲔᲝᲠᲔ 96 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ, ᲢᲐᲮᲢᲖᲔ 1952 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲐᲕᲘᲓᲐ, ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ ᲙᲘ 1953 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲘᲓᲒᲐ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲘᲐ�პᲝᲜᲔᲚᲘ ᲢᲐᲜᲐᲙᲐ ᲙᲐᲜᲔ 19 Ა�პᲠᲘᲚᲡ, 119 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲢᲐᲜᲐᲙᲐ ᲙᲐᲜᲔ �გᲘᲜᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ 2019 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲛᲫᲕᲘᲓᲠᲘ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲡ 116 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ 28 ᲓᲦᲘᲡ ᲘᲧᲝ.

ᲘᲐ�პᲝᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ 1903 ᲬᲚᲘᲡ 2 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ, ᲤᲣᲙᲣᲝᲙᲐᲡ ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. �გᲘᲜᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲮᲡᲜᲘᲐ, ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲟᲐᲜ ᲚᲣᲘᲖ ᲙᲐᲚᲛᲐᲜᲘᲐ. ᲘᲡ 1997 ᲬᲔᲚᲡ 122 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲔᲗ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲗ 103 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲐ: №GE19TB7601536020100009.

**(ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ